ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 17 აპრილი 2004 №85 (2104) ფასი 50 თეთრი




## ლაბაძისთვის საფინი საფინალოა



ირაკლი ლაბაძე უფრო და უფრო წინ მიიწევს ემტორილურ ბადის ხლართებში, წლეულს და საერთოდ კარიერაში უკვე მეორე ნახევარფინალს უწია. ბოლო ჟამს მოყოჩაღებულ ქართველ მეჩოგნეს მესამე ეტაპის დასაძლევად ჩოგნის შემართვაც არ დასჭირვებია. მისმა მეტოქემ, ჭაბუკმა ესპანელმა რაფაელ ნადალმა წინა მატჩში ფეხი იტკინა და თამაშზე ხელი აიღო. ახლა ნახევარფინალში ლაბაძე თვით ოყრაყ რუს მარატ საფინს დაუპირისპირდება, ვის მხარდამხარაც პორტუგალიის თიხაზე წყვილად გამოსვლა სცადა. თუმც ეს დუეტი პირველივე ეტაპზე დამარცხდა. სხვათა შორის, საფინი თიხაზე ისე ვერ ბობოქრობს, როგორც უფრო სწრაფ კორტებზე, ასე რომ, ლაბაძისთვის სასწორზე კარიერაში პირველი ფინალი დევს.

## თოფი გავარდეს, ტურნირი ჩავარდეს

ქალაქმა და რეგიონმა, სადაც კამერიან კაცს გავლა უჭირს, სამაგიეროდ კი ხელთოფიანი ხალხი თავისუფლად დაიარება, არ უნდა უმასპინძლოს მსოფლიოს ჩემპიონატს — ასეთია კულტურისა და სპორტის მინისტრის გიორგი გაბაშვილის და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ვერდიქტი. ასე რომ, ბათუმში მაისისთვის დაგეგმილ ქალთა საჭადრაკო მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას ვეტო ადევს. „ტექსტს ვამზადებთ ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის სახელზე, რომელსაც საქმის რეალურ არსს გავაცნობთ — გვეუბნება გიორგი გაბაშვილი — აჭარაში ტერორი მძვინვარებს და ასეთ ვითარებაში უსაფრთხოებაზე ლაპარაკი სასაცილოა. ტურნირი ალბათ გადაიდება და თუ მოხერხდა, მას მოგვიანებით ვუმასპინძლებთ.“



## მკვა აკვა ტური

### პირველი წრე წვიმით და ორი ლიდერით ჩამთავრდა



დინამოელი კარლოსის სამბა-გოლი

### თბილისი ბოლნისში: 1:1 თამაშში და გინებაში



| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 31 |
| დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 9:6 | 30 |
| თბილისი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 27 |
| ლოკომოტივი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 19 |
| დილა | 5 | 0 | 2 | 3 | 0:12 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 27 |
| ბათუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 22 |
| მცხეთა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 18 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:4 | 18 |
| სპარტაკი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 15 |
| მერცხალი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 6 |

# ჰოლანდიელი სკამზე ჯერ ვერ ჯდება




გაგა ჩიტორელიძის ფოტოები

## ბოსკამპს თბილისშიც ქირესი დანიშნავს

**თბილისში** სამშაბათს ჩამოსული იოჰან ბოსკამპი დღეს უკან, ბელგიაში მიფრინავს, ორშაბათს კი პირად საქმეებზე არგენტინისკენ გასწევს. დღესვე ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, აღმასრულებელი დირექტორი ანდრო აბაშიძე და ფედერაციის მომავალი ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე უეფას კონგრესზე დასასწრებად კვიპროსზე გაემგზავრებიან. ორშაბათს თბილისში ეროვნული გუნდის მწვრთნელი ალენ ჟირესი ჩამოვა. ამ ფრენა-ფრენაში კი ისევ გაურკვეველია, დაინიშნება თუ არა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად იოჰან ბოსკამპი.

წუხანდელი ინფორმაცია ასეთია: ბოსაკმპი თანახმაა, გაწვრთნას ჩვენი ახალგაზრდები და პარალელურად კლუბშიც იმუშაოს. მწვრთნელი გუშინ საბოლოოდ შეუთანხმდა მერაბ ჟორდანიას და ასევე საბოლოო პასუხი უთხრა „თბილისის" ხელმძღვანელებს, რომლებმაც ჰოლანდიელს კლუბის ტექნიკური დირექტორობა შესთავაზეს. ახლა საბოლოო სიტყვა მერაბ ჟორდანიაზეა, მას ახალგაზრდულში ბოსკამპის დანიშვნა ალენ ჟირესის უკითხავად არ სურს. ჟირესის თანხმობა კი იმასაც ნიშნავს, რომ ბოსკმპი ახალგაზრდულის გარდა „თბილისშიც" იმუშავებს.

ერთი სიტყვით, ჟორდანია-ჟირესის შეხვედრამდე ბოსკამპის საქართველოში ჩამოსვლას გადაწყვეტილად ნუ ჩათვლით. თუ ესენი ბოსკამპის თაობაზე შეთანხმდნენ, მაშინ ჰოლანდიელი სპეციალისტი თბილისში 5 მაისს ჩამოვა და 9 მაისის „თბილის"—„დინამოს" შეხვედრას ისე დაესწრება, როგორც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი და „თბილისის" ტექნიკური დირექტორი.

**კობა ინასარიძე**

## ვის უნდა ჩვენთან თამაში?

**ზეგ, 19 აპრილს,** საქართველოს ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი და მისი თანაშემწე გია გურული თბილისში ჩამოვლენ. ჟირესი თვის ბოლოსთვის გასამართი ამხანაგური მატჩისთვის ნაკრების კანდიდატებს შეათვალიერებს, მაგრამ მთავარი და სამწუხარო ის არის, რომ მეტოქე ჯერ კიდევ დაუდგენელია — ვინ გაუწევს სპარინგს საქართველოს ნაკრებს?

ჩამონათვალში, იცოცხლეთ, ბევრი კლუბია: ფრანგული „სოშო", „ლანსი" და „ლიონი", ესპანური „ესპანიოლი" და „ატლეტიკო" და ერთ-ერთი ჩინური გუნდი. ამათგან საბოლოო პასუხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჯერჯერობით არ მიუღია.

გუშინ კი ერთი ამბავიც გავიგეთ: სფფ-ის თავკაცობას თბილისში ორი რუსული კლუბის მოპატიჟება სურდა. მოსკოვის „სპარტაკთან" და მოსკოვის „ლოკომოტივთან" მოლაპარაკებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რუსებმა საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩის ჩატარება თავაზიანად იუარეს. მიზეზი ბანალურია — რუსეთში გაგანია ჩემპიონატია, თან ამ კლუბების ფეხბურთელთა უმეტესობა თავიანთი ქვეყნების ნაკრებებშია გამოძახებული და სარეზერვო შემადგენლობით თამაშს აბა, რა აზრი აქვს.

ასე რომ, ძებნა გრძელდება...

**კახა შალამბერიძე**

## ბოსკამპის წინააღმდეგ

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა, ტრადიციულად მდუმარე და თავის მქნეველმა დაწესებულებამ, გუშინწინ პირველად აღიმაღლა ხმა და იმდენი მოხერხდა, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად არ დაამტკიცა იოჰან ბოსკამპი, რომელიც აცხადებს, რომ თუ ამ პოსტზე დადგება, ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი თავად უნდა დანიშნოს.

იოჰან ბოსკამპი ვერ არის ხოსე პეკერმანი და ვერც ბრაიან კერი, ვისაც ახალგაზრდებით ფანტასტიკური შედეგებისთვის მიუღწევია. სამაგიეროდ, ხარხარა ჰოლანდიელი ის კაცია, ვინც ორიოდ თვეში ქართული ფეხბურთის მთელი თაობა აღმოაჩინა. ხოლო ისინი კი, ვინც ბოსკამპის წინააღმდეგ გამოვიდნენ, ითხოვენ, რომ ახალგაზრდების მწვრთნელი აუცილებლად ქართველი უნდა იყოს.

რაც ქართული ფეხბურთი დამოუკიდებელი შეიქნა, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები სულ ქართველები იყვნენ. მაგრამ მათ ნაკრებში არ მიუყვანიათ, ვთქვათ, ზურაბ ხიზანიშვილი. ის ბოსკამპმა მიიყვანა.

თუ საქართველო დასავლურ რელსებზე გადადის, მაშინ ბოსკამპი ცუდი კანდიდატურა სულაც არ არის. უბრალოდ, ბოსკამპის მოწინააღმდეგე აღმასკომის წევრებს ალბათ მაინც ურჩევნიათ, რომ რაღაც მიზეზების გამო ამ სამწვრთნელო პოზიციაზე ისევ ქართველი შეინარჩუნონ. ამ მიზეზების ძიება და ახსნა ალბათ ძნელი სულაც არ არის, თუმცა, ჩვენი ფეხბურთისთვის სასარგებლო რამდენადაა, ვერ ვიტყვით.

საკვირველი ისიც არის, რომ აღმასკომმა პირველად ამოიღო ხმა რომელიმე კანდიდატურის წინააღმდეგ და კანდიდატურის განხილვისას აზრი გაიყო.

ეს ჩვეულებრივი, ჩვენებური ვითარებაა. თუნდაც ნახევარი წლის წინ ბოსკამპის წინააღმდეგი ვერავინ იქნებოდა. თუმცა, ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ ბოსკამპს არც არავინ წამოაყენებდა კანდიდატად.

საერთოდ კი, ყოველთვის რაღაც ახლის ცდა სჯობს. ბოსკამპის ნაკლიც ვიცით და კარგიც. მთავარი ამ კაცში ისაა, რომ ნამდვილი საფეხბურთო თვალი აქვს და ჩვენებური შემაკავებლებით არ არის დამძიმებული. ახალგაზრდების საქმეში კი ეს გამოსადეგარი თვისებებია. კარგი ბიჭის შემჩნევა ბევრს შეუძლია, მისი ნდობა და დაუნანებლად გაყვანა ასპარეზზე კი ცოტას.

ფეხბურთი
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
პირველი ლიგა
18 აპრილი
ოცდამეორე ტური
ამერი — რუსთავი
თბილისი — რუსთავი
დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

### ინგლისი
პრემიერლიგა. XXXIV ტური
არსენალი 5:0 ლიდსი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა XXIX ტური
რეგენსბურგი 1:1 ობერჰაუზენი
აუე 1:0 კოტბუსი
ლიუბეკი 2:2 კარლსრუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXVII ტური
ზანქტ პაული 2:0 შალკე (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVII ტური
ელვერსბერგი 1:1 აალენი
პფულენდორფი 2:1 ერფურტი

### იტალია
სერია B. XXXVIII ტური
ტორინო 1:1 ვიჩენცა

### საფრანგეთი
პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი
გენგამი 1:1 მეცი

მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები
ნიორი 2:1 ტრუა
სენტ ეტიენი 2:1 ბეზანსონი

### ჰოლანდია
I დივიზიონი. XXX ტური
ტილბურგი 1:1 ვიტესი

II დივიზიონი. XXXIV ტური
სიტარდი 1:1 ტელსტარი
გრააფსხაპი 3:0 ეინდჰოვენი
მაასტრიხტი 1:1 კამბური
ჰელმონდი 3:0 აპელდორნი
ჰაარლემი 0:2 ჰერაკლესი
იგლსი 2:4 ვენლო
დორდრეხტი 1:5 ემენი
დენ ბოსხი 2:2 ექსელსიორი
სპარტა 0:0 ოსი

### ბელგია
იუპილერლიგა. XXX ტური
ანდერლეხტი 4:1 მონსი

### ავსტრია
I დივიზიონი. XXX ტური
ლეობენი 1:1 ლუსტენაუ
რიდი 5:1 კაპფენბერგი
ვიორგლი 2:1 ლინცერი
უნტერზიბენბრიუნი 1:2 ტიროლი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXVII ტური
ბადენი 0:2 ანიო
ლუცერნი 2:2 ვოლენი

### ირლანდია
პრემიერლიგა. VII ტური
ბოჰემიანსი 2:2 შემროკი
დროჰედა 2:0 დუბლინი
შელბურნი 1:1 ლონგფორდი
სენტ პატრიკსი 0:1 უოტერფორდი

### თურქეთი
სუპერლიგა. XXX ტური
გალათასარაი 4:3 დენიზლი

### პოლონეთი
პირველი ლიგა. XIX ტური
პოლკოვიცე 0:3 გროცლინი

### უკრაინა
პრემიერლიგა. XXI ტური
ვოლინი 2:2 დნიპრო
დინამო 2:0 ობოლონი
ვორსკლა 1:1 ბორისფენი
მეტალურგი (დ) 0:0 კარპატი
არსენალი 0:0 შახტარი
ილიჩევეცი 1:0 ზირკა
ტავრია 2:0 მეტალურგი (ზ)
ჩერნომორეცი 3:0 კრივბასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისი. 16 აპრილი. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 1 800 (ტევადობა 3 500)

## სიონი 1:1 თბილისი

0:1 გ. ნუგ. ჭელიძე (28), 1:1 სიჭინავა (45)

სიონი: ვოლკოვი, ს. ბურნაძე, ჭიჭველიშვილი, გილაური, ბაქრაძე (კ. ალადაშვილი 80), უგრეხელიძე, სიჭინავა, რ. ონიანი, გაბისკირია (დარსანია 85), გ. შენგელია (სვანიძე 90), გონჩაროვი
*სათადარიგონი:* ა. ლაბაძე; გ. დოლიძე, ე. გვასალია, არჩვაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

თბილისი: გრიშიკაშვილი, დ. ოდიკაძე, ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ელიავა, გ. ნუგ. ჭელიძე (გოგიტა გოგუა 84), მესხი, ხოჯავა, აფციაური, ჯიქია (ლოლაძე 85), ფიფია
*სათადარიგონი:* ნაჭყებია; გეწაძე, გ. ნოდ. ჭელიძე, მიქიაშვილი, სიდამონიძე
მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი

გაფრთხილება: ოდიკაძე (22), ჯიქია (36), ფიფია (36), გრიშიკაშვილი (41), გაბისკირია (58), ბაქრაძე (78), ქემოკლიძე (90), მესხი (90), ხოჯავა (90)

გაძევება: ფიფია (78)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი



# ნაპერწკლების ყრა
## წვიმის კაცები ბოლნისის მიწაზე







დავით თავართქილაძე

ცხრა გაფრთხილება და ერთი გაძევება — თუმც, წითელ-ყვითელი ბარათების არითმეტიკა მატჩს ჩრდილს ვერ მიაყენებს — დაძაბული, საინტერესო თამაში იყო, ხოლო ყვითელი ბარათები მეტწილად მსაჯთან კამათისთვის მიიღეს ფეხბურთელებმა, გოგა ფიფია კი დავით ბაქრაძესთან წაკინკლავებისთვის გააძევეს.

პირველი წუთები „თბილისის“ უპირატესობით წარიმართა. უმწვავესად სტუმრები მაშინ გაისარჯნენ, როცა გოჩა ხოჯავას საჯარიმო დარტყმა თემურ ვოლკოვმა რის ვაინაჩრობით მოიგერია კუთხურზე.

„თბილისი“ ბურთის სწრაფად გათამაშებაში, კომბინაციურ თამაშში ალემეტებოდა მეტოქეს, მაგრამ „სიონი“ ხომ შინ თამაშობდა და ბოლნისელებმა თითქოს იცოდნენ, მოედნის ამა თუ იმ მონაკვეთზე ბურთი სად და როგორ გაგორდებოდა — მისტიფიკაციას რომ შევეშვათ, თემურ მახარაძის გუნდი ჩემპიონატს ლიდერობს და შინ განსაკუთრებულად ძლიერად თამაშობს.

თბილისელთა ზეწოლას „სიონმა“ გიორგი შენგელიას მახვილი კუთხიდან გასროლილით უპასუხა, მაგრამ სოსო გრიშიკაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა. „თბილისი“ ოდნავ მეტხანს ფლობდა ბურთს, მაგრამ მწვავედ უკვე ორივე გუნდი უტევდა. გრიშიკაშვილმა ერთხელაც იხსნა კარი, როცა გაბისკირიას შორეული, მაგრამ რთული დარტყმა გააუვნებლა.

სტუმრები ასე დაწინაურდნენ: „სიონის“ საჯარიმოს მისადგომებთან გოჩა ხოჯავამ ოსტატურად მოათვინიერა ბურთი და ზიდანივით პასი გაუჭრა ზაალ ელიავას, ვინაც მარცხენა ფლანგიდან „სიონის“ საჯარიმოში გადაგზავნა ბურთი. გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ მარჯვენა შეაგება მას, ბურთი ერთ-ერთ სიონელ მცველს მოხვდა და რიკოშეტის შემდეგ ბადეში აღმოჩნდა — გოლი მოკლედ ვერ აღვწერეთ, მაგრამ საგოლე კომბინაცია ვრცლად გაშუქებას ნამდვილად იმსახურებდა.

გავიდა 2-3 წუთი და თბილისელებმა არბიტრის ერთ-ერთი გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოხატეს, ამან ბოლნისელი ფანები გაალიზიანა და გინების კორიანტელი დაუშინეს „თბილისის“ სათადარიგოთა სკამს. საპასუხო რეაქციამაც არ დააყოვნა. „სიონის“ ქომაგობა სტუმართა შტაბისკენ შექუჩდა, მაგრამ ისინი მავთულღობემ და პოლიციამ შეაჩერა. თუმც ინციდენტის გამწვავების საფრთხე კვლავაც იყო, მაგრამ „თბილისის“ სათადარიგოთა სკამისკენ „სიონის“ ფეხბურთელები გაეშურნენ და თავიანთი ქომაგები დაამშვიდეს.

საპირისპირო ტრიბუნაზე „თბილისის“ ფანობა იყო შეკრებილი. სტუმართა გუნდის გულშემატკივრები რამდენიმე ავტობუსით ჩავიდნენ მატჩზე, რამაც თამაშს მეტი ხიბლი შესძინა. ქომაგთა შორის დაპირისპირება არ მომხდარა, მაგრამ მატჩს წვიმამ შეუშალა ხელი.

სანამ ციურ რისხვაზე მოგახსენებდეთ, „სიონის“ გოლზე ვთქვათ — მარცხენა ფლანგიდან ბაქრაძემ ჩააწოდა, „თბილისის“ მცველებმა უხეიროდ მოიგერიეს ბურთი და თენგიზ სიჭინავამ დაახლოებით თხუთმეტი მეტრიდან გამთანაბრებელი შეაგდო.

ამასობაში წვიმამ იმატა და მეორე ტაიმისთვის დრენაჟიანი მინდორი მაგრად დაიტბორა. ბურთის გორება, ცხადია, ძალიან გაჭირდა. ჰოდა, სანამ „თბილისი“ თავის თამაშს იპოვნიდა, „სიონი“ ორჯერ დაემუქრა მას — ორჯერვე შენგელიას უნდა გაეტანა: ჯერ გაბისკირიას მოხდენილი პასი ვერ გააჩერა, თორემ გრიშიკაშვილთან პირისპირ გადიოდა, მერე გონჩაროვის პასით მაინც შეეყარა გრიშიკაშვილს, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

ტაიმის შუაწელიდან „თბილისი“ კვლავ გააქტიურდა და როცა ფიფიას გაძევების შემდეგ ათი კაცის amara დარჩა, მაინც მეტოქეზე უფრო მხნედ გამოიყურებოდა შეტევაში.

კიდევ, შეხვედრას იოჰან ბოსკამპიც დაესწრო და მისი ყოფილი შეგირდებიც იხილა მინდორზე — დავით ჭიჭველიშვილი და გოლის გამტანი სიჭინავა.

*გიორგი დევდარიანი:* ავდარი რომ არა, ორივე გუნდი უკეთეს ფეხბურთს აჩვენებდა. ასეთ პირობებში კი ფეხბურთელთა ის თვისებები გამოჩნდა კიდევ უფრო კარგად, რასაც ბრძოლისუნარიანობა და ჟინი ჰქვია. ათნი დავრჩით და ჩემმა ფეხბურთელებმა შესაშური ვაჟკაცობა აჩვენეს. ყველაფერი ეს გვაიმედებს, რომ საქართველოში ფეხბურთი არ მომკვდარა.

*თემურ მახარაძე:* „თბილისის“ სახით ქართულ ფეხბურთში, როგორც იქნა, ნათელი წერტილი გამოჩნდა — მეტოქის თამაშით ვისიამოვნე. ჩვენ კი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდებთან უთანასწორო პირობებში ვართ — მატჩისწინა ხუთდღიანი შეკრება დიდუბის მანეჟში გავიარეთ და ჩემი ფეხბურთელების მადლობელი ვარ, დღეს ასე რომ ითამაშეს.







რა უნდა ქნას გოლის გამტანმა ბრაზილიელმა კარლოსმა? რა თქმა უნდა, სამბა წაიცეკვოს

# გორელებმა შუაში იარეს
## ვერც სხვის კარს მიხედეს, ვერც თავისას

თბილისი. 16 აპრილი. 16 საათი. ეროვნული. 100 (ტევადობა 70 900)

### დინამო 5:0 დილა

| |
|---|
| 1:0 გოგობერიშვილი (16), 2:0 ანჩაბაძე (56), 3:0 კარლოსი (63), 4:0 ბობოხიძე (71), 5:0 იაშვილი (88) |

| | |
|---|---|
| **დინამო:** გვარამაძე, კარლოსი (ბურდული 75), წერეთელი, შაშიაშვილი, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, გ. ნემსაძე (რომერო 73), ანჩაბაძე (კანდელაკი 65), მ. ბობოხიძე, ს. იაშვილი<br>*სათადარიგონი:* ზოიძე, ქოქიაშვილი, მელქაძე, კაკალაძე<br>**მწვრთნელი:** ივო შუშაკი | **დილა:** სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ლაცაბიძე, სულთანიშვილი (მასურაშვილი 65), ბ. ჩიტაია, ხანიშვილი, ბ. შელია, შატაკიშვილი (საყვარელიძე 55), გ. ჩიტაია, მალანია (ძოძუაშვილი 60)<br>*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, ლომიძე, ჯობაძე<br>**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი |

| |
|---|
| **მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ორივე თბილისი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია |

**პაატა კვანტალიანი**

ჰა და ჰა, როგორც იქნა, ნავსი გატეხა ჩემპიონმა. „დინამომ" ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა, თანაც შთამბეჭდავად. შუშაკის გუნდმა მოსალოდნელზე იოლად სძლია „დილას". აქვე ვთქვათ, ეს გუნდები მალე სათასო ნახევარფინალშიც ითამაშებენ და „დილა" გუშინდელივით უღონო თუ შეხვდა ორრაუნდიან დაპირისპირებას, უმცირესი შანსიც კი არ დარჩება. ძალიან სუსტი იყო გუშინ ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი. გორელებს ტაიმნახევარი არ გაუხედავთ მეტოქის კარისკენ და ის ორიოდე საგოლე შანსიც საქმეოლეულ დინამოელთა ბედოვლათობით მიეცათ თამაშის ბოლოს, თუმცა ძოძუაშვილმა და ხანიშვილმა ასპროცენტიანი მომენტები გააცუდეს. ჰოდა, „დილაც" ერთადერთია ორივე ექვსეულში, გოლი ჯერაც რომ ვერ გაუტანია.

თამაში ქართულად, ნელ ტემპში დაიწყო და ასევე მიილია, თუმც გორელები ისე უილაჯოდ ირჯებოდნენ, მათ ფონზე დინამოელები თითქოს დაფრინავდნენ. ხუთი გოლი და ერთი ამდენი გაცუდებული შანსი — ეს მოინაგრეს გუშინ შუშაკის ბიჭებმა.

მე-16 წუთი იყო, გოგობერიშვილმა საჯარიმოს კუთხიდან კარისკენ ჩაწოდება რომ მოინდომა, თუმც ეს პასი გოლად იქცა — ბურთი უცნაური ტრაექტორიით ჩაეშვა მეკარისგან შორეულ კუთხეში და გულმოცემული თბილისელებიც „დილას" ნახევარზე დასახლდნენ. ტაიმის ბოლომდე ბურთი ორჯერ დაეძგერა გორელთა კარის ძელს, სამჯერ სოლოლაშვილი ჩაერთო თამაშში და სტუმარს პირველ ნახევარში ერთზე მეტი არ გაუშვია.

მეორე ნახევარში კი თამაშის იშტაზე მოსული მიხეილ ბობოხიძის წყალობით დინამოელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა. ბობოხიძემ ჯერ ანჩაბაძეს გაატანინა ეფექტური ფლანგური გარღვევისას, მერე კი კვლავ მარჯვენა ფლანგზე იმოძრავა და საჯარიმოში შეჭრილ კარლოსს თავზე დაასვა ბურთი. ბრაზილიურად გაიხარა ბრაზილიელმა. ყურებამდე გაღიმებულმა კარლოსმა მაისურა გაიხადა, სათადარიგოთა სკამთან მიირბინა და როკვა დაიწყო, მერე, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სარბენ ბილიკებზე მოვარჯიშე რომეროს ჩაეხუტა და მასთან ერთად იცეკვა სამბა.

ამ ხალისობის შემდეგ „დინამომ" მალევე გაიტანა მეოთხე გოლი. ბობოხიძემ მარტო საგოლე პასები არ იკმარა, დაბნეულ სტუმრებს გაექცა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ძელიდან ასხლეტით შეაგდო კარში ბურთი. მატჩი ამ ანგარიშითაც დასრულდებოდა, მაგრამ მანამდე არაერთი მომენტის გამცუდებელმა სანდრო იაშვილმა ვერ მოისვენა: მოედნის ცენტრში მოიგდო ბურთი, გზად რამდენიმე მეტოქე მოატყუა, მეკარესაც იოლად გაუსწორდა და ცარიელ კარში გატანა აღარ გასჭირვებია.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ხანგრძლივი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა ლადო ბურდული. „დინამოს" და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ჯერაც ვერაა ჩვეულ ფორმაში, თუმც გუშინდელ თხუთმეტწუთეულში ერთი-ორჯერ თავისებურად მაინც გაიქცა მარჯვენა ფლანგზე.



**საუკეთესო**



*მიხეილ გოგოხიძე*

*ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა მიხეილ ბობოხიძემ. იგი მთელი თამაშის მანძილზე ვერაფრით შეაჩერეს გორელებმა. რაც მოესურვებოდა, იმას აკეთებდა, ფაქტობრივად, ბურთი არ დაუკარგავს და პასი არ გასცუდებია. ორჯერ სხვებს გაატანინა და თავადაც იხეირა.*

# სისხლი
## ვიტ ჯორჯიამ დაღვარა ის, რაც ლოკომოტივს სჭირდება

**დავით ერაძე**

„ლოკომოტივის" სტადიონი თბილისურ დერბის ნორმალურ მდგომარეობაში შეხვდა. ავდრის მიუხედავად მინდორს სათამაშო ფორმა არ დაუკარგავს.

თამაში ისე დაიწყო, იფიქრებდი, „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე ლუკმად არ ეყოფაო. პირველ თხუთმეტ წუთში „ლოკომოტივს" მეტოქის კარისკენ არც გაუხედავს. სწორედ ეს დრო აღმოჩნდა საკმარისი ვეტერინარებისთვის, რათა უპირატესობა გამარჯვების მომტან გოლად გარდაესახათ. მე-13 წუთზე დეკანოსიძის ჯარიმა ოდნავ ასცდა კარს, მომდევნო ცდით კი „ვიტ ჯორჯიამ" იხეირა. ლოკომოტიველებმა საჯარიმოს ხაზთან ადამია დასცეს. დაზარალებული მხარე პენალტს ითხოვდა, წესის დარღვევა საჯარიმოში იყოო. მეშკოვმა სხვაგვარად განსაჯა და ბურთი საჯარიმოს ხაზთან, თერთმეტმეტრიანის ნიშნულის პირდაპირ დადო. ადამიამ საკმაოდ განიერ კედელს ბურთი მოხდენილად გადაავლო და ცხრიანში ჩასვა. გოლმა ლოკომოტიველები დააბნია და ტაიმის ორივე სახიფათო მომენტიც მათ კართან შეიქმნა. მამალაძემ ჯერ მარცვალაძეს აუღო თავური, 45-ე წუთზე კი დათუნაიშვილის სახიფათო გაქცევას მოყოლილი კარგი ჩაწოდებაც ჩაჭრა. დათუნაიშვილმა ტაიმი სისხლდენით ჩაამთავრა, მეორე კი თავშეხვეულმა ითამაშა — ტრავმა საჰაერო ორთაბრძოლისას მიიღო.

„ლოკომოტივს" აშკარად აკლდა გიორგი მიქაძე, არც ბურთის დამჭერი ჰყავდა და არც შეტევების გამამწვავებელი. არ იყვნენ დაშავებული ზირაქიშვილი და სვანაძე, რომლებსაც ვითარების შეცვლა შეეძლოთ.

მეორე ტაიმში „ლოკომოტივი" გამოფხიზლდა. გარდაიქმნაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ მონდომებით კი ამოძრავდა. ესეც საკმარისი აღმოჩნდა უპირატესობის მოსაპოვებლად, თუმცა „ლოკომოტივის" მომენტებზე საგოლე ნამდვილად არ ითქმოდა. ირაკლი ვაშაკიძემ რამდენჯერმე სცადა შეტევის გამწვავება, მაგრამ ამაოდ. 57-ე წუთზე „ვიტ ჯორჯია" კინაღამ მერლანის ბავშვურმა შეცდომამ დაალალატა. მირზას სველ მინდორზე ფეხი დაუცდა და ბურთი ახლოს მოიგერია, თავად კი კარიდან საკმაოდ შორს იყო. ბედად, რკინიგზელთაგან არავინ ჩასაფრებია მეკარის შეცდომას.

საგოლე მომენტი ერთხელღა შეიქმნა. სახვაძემ ჩააწოდა, ონიანმა თავით ბურთი მეკარის ახლოს მდგომ გოგინაშვილს დაუგდო. ფორვარდმა ფეხი ულაზათოდ მოიქნია და მერლანს საქმე გაუადვილა. ამის შემდეგ „ლოკომოტივმა" შეტევები ინერციითღა განაგრძო და მეშკოვის სასტვენმაც ამ დროს მოუსწრო.

*მერაბ კოჭლაშვილი:* „მეტოქემ დაამტკიცა, რომ ჩვენს ჩემპიონატში ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. „თბილისთან" უსახური მატჩის შემდეგ „ლოკომოტივმა" გაცილებით აგრესიული და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა. ვფიქრობ, მაინც ძლიერმა გაიმარჯვა, თანაც ჩვენს გუნდს ეს გამარჯვება უფრო სჭირდებოდა."

*ზაურ სვანაძე:* „პირველი ნახევარი სუსტად ვითამაშეთ, მეორეში უკეთ. „ვიტ ჯორჯია" ჩვენზე ძლიერი გუნდია, ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც. ვატყობ, ჩემს გუნდს ახალი სისხლი სჭირდება და მომავლისთვის შემადგენლობა კარდინალურად გადახალისდება."



ლაშა სალუქვაძის (მარჯვნივ) „ლოკომოტივი" რევაზ გოცირიძის „ვიტ ჯორჯიას" ვერ შესწვდა

თბილისი. 16 აპრილი. 18 საათი. ლოკომოტივი. 700 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 0:1 ვიტ ჯორჯია

| |
|---|
| 0:1 ადამია (29) |

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე (დათვაძე 46), ზამთარაძე, სანიკიძე, მანწკავა, სახვაძე, გაგუა (გ. ონიანი 46), დავითულიანი, გოგინაშვილი<br>*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; დ. დოლიძე, სოსელია, ტლენტი, ლილუაშვილი<br>**მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე | **ვიტ ჯორჯია:** მერლანი, იმედაშვილი, კვახაძე, ინწკირველი, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი 79), ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, დათუნაიშვილი, ადამია (გველესიანი 55), რ. გოცირიძე (ი. შენგელია 90), მარცვალაძე<br>*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ებანოიძე ლ. მერებაშვილი, ე. მერებაშვილი,<br>**მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი |

| |
|---|
| **გაფრთხილება:** გაგუა (37) |
| **მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); მ. მაისურაძე (თბილისი) |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** დ. კვინიკაძე |

# ტორპედომ სპარტაკი თასისთვის შეინახა

## ქუთაისში ჩემპიონატი შუაში დამთავრდა

**კობა ინასარიძე**

**ქველქვსეულის** ლიდერ „ტორპედოს“ რა ენაღვლება — თავი ქუდში აქვს. სასწაული უნდა მოხდეს, ლიგაში დარჩენა სათუო გაუხდეს. ქუთაისელებმა ჩემპიონატი, ფაქტობრივად, დაამთავრეს, ახლა მათი საზრუნავი თასია, რაც ევროპაში წათამაშების შანსს იძლევა და სადაც ნახევარფინალში სწორედ „სპარტაკი“ ელით. თავის მხრივ, „სპარტაკს“ სატურნირო ვითარება აქვს აწეწილი და ერთი გადაბრუნებული ნაბიჯი ხურცილავასა და მის გუნდს, შესაძლოა, უმაღლესი ლიგის ფასად დაუჯდეთ.

ამ ამბების გათვალისწინებით გუშინდელი მატჩისგან ბევრიც არაფერი იყო მოსალოდნელი: „სპარტაკს“ უნდა მოეგო, „ტორპედოსთვის“ კი შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მატჩიც ასეთი გამოვიდა — უინტერესო, მოსაწყენი, ამინდივით უჟმური. ანგარიშიც ნუ მოგატყუებთ. თქვენი მონა-მორჩილისთვისაც მატჩზე უფრო საინტერესო „სპარტაკის“ მეკარის — აკაკი დევაძის თამაში იყო, მით უფრო, რომ ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე ოთარ გაბელია მას მეტოქისა და მუშტრის თვალით უცქერდა. არც ეს საქმე გამოდგა საინტერესო — „ტორპედომ“ დევაძეს სულ ოთხჯერ დაურტყა, აქედან ორჯერ მაშინ, როცა მასპინძლებს საქმე მოთავებული ჰქონდათ. ვეჭვობთ, დევაძემ გაბელიას რამით დაამახსოვრა თავი. საქმე ძალიან ცოტა ჰქონდა და იმიტომ. ქუთაისელთა ორი გოლიდან პირველი, ხუციშვილის თავურით გატანილი, აუღებელი იყო, მეორე კი... ბაბუნაშვილმა ბოლო წუთზე კარიდან ოდნავ წინ გამოსული მეკარე შენიშნა და მოულოდნელად შორიდან დაურტყა. დევაძე ჩვეულად კი გაფრინდა, უკვე თავზე გადავლებულ ბურთს თითებიც წაატანა, მაგრამ კარს უკან ველარ გადააგდო. მატჩის დამთავრებამდე დარჩენილი ორი წუთი კაკომ თავში ხელებწაშენილმა გაატარა...

ბაბუნაშვილისა და ხუციშვილის გოლებამდე კი „სპარტაკის“ მეკარეს საქმე, ფაქტობრივად, არც ჰქონია. იმავე ბაბუნაშვილისა და ბოლქვაძის დარტყმული ბურთები მან უპრობლემოდ მოიგერია. პრობლემები სტურუას ჰქონდა. ქუთაისელს ჯერ ჟვანიამ გაუტანა პენალტით, მერე მუშკუდიანმა, დონდოლაძის ჩაწოდებულს თავური რომ მიაყოლა, მეორე ტაიმის შუაში კი ვაშაკიძემ საჯარიმოდან. ეს გოლებიც რომ არა, სტურუასთვის სამუშაო მისსავე პარტნიორებს ისედაც არ დაუკლიათ.

თბილისი. 16 აპრილი. 16 საათი. ოლიმპიკი. 800 (ტევადობა 2 000)

### სპარტაკი 3:2 ტორპედო

| | |
|---|---|
| 1:0 ჟვანია (13პ), 2:0 მუშკუდიანი (33), 3:0 ვაშაკიძე (70), 3:1 ხუციშვილი (84), 3:2 ბაბუნაშვილი (90) | |
| სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, მჭედლიშვილი, ლ. ვაშაკიძე, ჯანგიძე (ი. სამხარაძე 78), კვერენჩხილაძე, ტატანაშვილი (პაპუაშვილი 78), მუშკუდიანი (მაღლაფერიძე 70) სათადარიგონი: გრძელიძე; ტაბიძე, კ. შალამბერიძე, ს. შელია მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა | ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე (გ. დარსაძე 70), მახვილაძე, გამეზარდაშვილი, გ. ჩხეტიანი, ჭინჭარაული (მუმლაძე 86), ნერგაძე, მემარნიშვილი, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, ხუციშვილი სათადარიგონი: რევიშვილი; ს. თოდუა, კოშკაძე, ადუაშვილი, დავითაშვილი მწვრთნელი: ოთარ გაბელია |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: გ. დარსაძე | |

## საუკეთესო

### ლაშა ჯანგიძე



*ლაშამ იმდენი იმუშავა, საუკეთესოობას აშკარად იმსახურებდა. „სპარტაკის“ საყრდენი საჭირო დროს საჭირო ადგილზე ხვდებოდა მეტოქეს და სტუმართა შეტევებსაც დაუზარებლად შლიდა. ჯანგიძეს წინ წასვლაც გამოსდიოდა და ერთი-ორჯერ სახიფათოდაც გაისროლა „ტორპედოს“ კარისკენ. მართალია, მატჩის მიწურულს იგი შეცვალეს, მაგრამ ეს მის გარჯას არანაირად არ აკნინებს.*



სპარტაკელი ზურაბ მუშკუდიანის (№17) თავური ქუთაისელი მცველებისთვის და მეკარე ზვიად სტურუასთვის მიუწვდომელი იყო



## გაბელია 12 კარში იხედება

*გიორგი ლომაია, დავით გვარამაძე, მირზა მერლანი და ზურაბ მამალაძე — ამჟამად ეს ოთხი მეკარეა ალენ ჟირესის სანაკრებო სიაში. ვინ მიემატება ან მოაკლდება ამ ოთხეულს, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ჟირესის წინასწარ შემადგენლობაში მოხვედრის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ალბათ აკაკი დევაძეცაა. სხვათა შორის, ჟირესი საქართველოში მალე ჩამოვა და დევაძის საქმეში ნახვასაც აპირებს. სავარაუდოდ, ფრანგი მწვრთნელი „ტორპედო“ — „სპარტაკის“ სათასო მატჩს დაესწრება. იქამდე კი ნაკრების მეკარეთა მწვრთნელ ოთარ გაბელიას ვესაუბრეთ...*

— უკვე ბევრს ლაპარაკობენ აკაკი დევაძის ნაკრებში დაბრუნებაზე. თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ?

— კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. დევაძეს ვაკვირდებით და ვნახოთ, თავს როგორ გამოიჩენს. ამ ეტაპზე თითქმის ყველა მეკარის თამაშს ვადევნებთ თვალყურს და მათგან საუკეთესოს ავირჩევთ.

— თვის ბოლოს ნაკრებისთვის წინასწარ შეგულებული ოთხი მეკარე არ შეიცვლება?

— ამათგან მატჩისთვის ალბათ ორი მოემზადება. ყოველ შემთხვევაში, ოთხეულს სხვა არავინ დაემატება.

— ჟირესი „ტორპედო“ — „სპარტაკის“ მატჩზე დასწრებას და დევაძეზე დაკვირვებას აპირებს...

— ამის თაობაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს. თუმცა საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

— მაინც, როგორ ფიქრობთ, დევაძის ნაკრებში დაბრუნება შესაძლებელია?

— რატომაც არა. ითამაშოს და არაფერს დავუკარგავთ.

**ბახა შალამბერიძე**

ფოთი. 16 აპრილი. 16 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 2:0 ბათუმი

| | |
|---|---|
| 1:0 ღლანიძე (12), 2:0 კალანდაძე (75) | |
| კოლხეთი: ბათიაშვილი, ჭითანავა, ჯ. შალამბერიძე, დ. ნარსია, აკობია, წურწუმია, თაყაძე (კუნჭულია 46), ე. მარგალიტაძე, ღლანიძე (კალანდაძე 69), ტყებუჩავა, ზ. ქუთათელაძე (კრასოვსკი 46) სათადარიგონი: ჩემია; შ. ლონლაძე, ხურცილავა, გაბედავა მწვრთნელი: დავით მახარაძე | ბათუმი: ქვაჩახია, ი. მახარაძე, გალოგრე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე, მანჩხავა (რომანაძე 46), ქაცარავა (თ. ნემსაძე 46), ბესიკ თედორაძე, დარჩიძე, ფირცხალაშვილი (ფურცხვანიძე 76), ბეჟანიძე სათადარიგონი: მ. სალუქვაძე, დუმბაძე, სირბილაძე მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი |
| გაფრთხილება: კრასოვსკი (58) | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) | |
| სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე | |

# სასწავლო მატჩი

## მახარაძემ ჩხარტიშვილს მოუგო

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**ზღვისპირელთა** დერბის ყოველთვის ახლდა თავისებური ინტერესი. მართალია, ახლა არც „ბათუმს“ ულხინს და ფოთის „კოლხეთსაც“ ცოტა უკლია გავარდნამდე, მაგრამ ჩვეული მოლოდინი ფოთში მაინც იგრძნობოდა... არ გამართლდა, „ფაზისზე“ ისეთი მოსაწყენი სანახაობა იყო, მეტი არ იქნება. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი მომენტი გვქონდა ჩასანიშნი, ის, გოლი რომ გავიდა. დანარჩენი რა ვთქვათ — „ბათუმს“ მეტოქის კარისკენ არც გაუხედავს, ხოლო კოლხებმა გატანილი გოლის გარდა კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს.

გოლი კი მალე გავიდა. მე-12 წუთი იყო, სტუმართა მცველებმა ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს, მას ზაველ ღლანიძე დაუხვდა და დაახლოებით 25 მეტრიდან დაჰკრა. დარტყმა ძლიერი კი იყო, მაგრამ არა აუღებელი. შეცდა ქვაჩახია, სველი ბურთი ვერ მოიხელთა და კარის ხაზს იქითლა გააჩერა. ამის შემდეგ, შესვენებამდე, ერთობ არეული ბურთაობა გაჩაღდა და საინტერესო არავის არაფერი უნახავს.

მეორე ტაიმი ცოტა ცოცხლად დაიწყო. კრასოვსკის და კუნჭულიას გამოჩენამ „კოლხეთს“ ძალა შემატა და ეს უპირატესობა ტყებუჩავასთვის ბოძებული საგოლე შანსით გამოიხატა. მას ხელს არავინ უშლიდა, კარში დარტყმა იჩქარა და შანსიც გაანიავა. ამასობაში ღლანიძის ნაცვლად კალანდაძე გამოჩნდა და მანაც გაამწვავა თამაში, ექვს წუთში კი გოლიც გააკეთა. მისი წამოწყებული შეტევა კრასოვსკიმ გააგრძელა, კარის გასწვრივ დაარტყა, ბურთი მარგალიტაძეს ფეხზე მოხვდა, ასხლეტილს კი კალანდაძე შეეგება და მთლად ჩაკლა ისედაც მისავათებული ინტრიგა. გათოშილი ქომაგობა მატჩის დასასრულს ელოდა, მანამდე კი კოლხთა კიდევ ორი სახიფათო მომენტი იხილა. კრასოვსკიმ როგორ ვერ გაიტანა, საკვირველი იყო. მერე ტყებუჩავას შეეძლო გატანა...

ნამატჩევს კოლხთა თავკაც დავით მახარაძეს გამარჯვებას ულოცავდნენ. ეს ხომ მისი პირველი წარმატება გახლდათ მწვრთნელის რანგში. მან ამის მიაღწია გუნდთან, ვისი მწვრთნელიც მისი მასწავლებელი იყო. ვალერიან ჩხარტიშვილმა გულით მიულოცა შეგირდს გამარჯვება.

პრესკონფერენციაზე მახარაძემ ასეთი რამ თქვა: დღეს მოიგო იმან, ვისაც უფრო სჭირდებოდა მოგება. ზედგამოჭრილი შეფასებაა ამ ზღვისპირული დერბისთვის.



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი ლოგო აქვს.

ქვეყნის დროშის შეცვლამ ფედერაციას ძველი ლოგოს შეცვლა აფიქრებინა. აკა ტონიას ნამუშევარი ეროვნული დროშის ფერებშია შესრულებული და კომპოზიციურადაც, რა თქმა უნდა, მასთანაა მისადაგებული.

# ლომაიამ სკალას ქართული ვერ ასწავლა

*სააპრილო ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესის 30-კაციანი სია გუშინ გაგაცანით. მართალია, ჯერჯერობით საქართველოს ნაკრებს მეტოქე ვერ უპოვია, მაგრამ ჟირესის დავთარში ჩახედვა მაინც საინტერესოა. ამ სიაში მოსკოვის სპარტაკელი გიორგი ლომაიაც მოხვდა და სადღეისოდ ნაკრების ნომერ პირველ მეკარეს გუშინ მოსკოვში შევეხმიანეთ. გიორგისთან სასაუბრო ისედაც დაგვიგროვდა — რუსულ პრემიერლიგაში უკვე ექვსი ტური გაილია და ჩვენებურს ჯერაც არ ღირსებია მოედანზე გასვლა...*

— სიახლეზე მინდა გკითხო, მაგრამ პასუხი წინასწარ ვიცი...

— ეგრეა, ახალი არაფერია. „ამკართან“ სათამაშოდ ვემზადებით. სხვა განსაკუთრებული არაფერი ხდება.

— კარში კი ალბათ ისევ კოვალევსკი ჩადგება...

— ჰო, სამწუხაროდ, ჩემი ჯერი არა და არ დადგა.

— და რატომ არ გათამაშებენ?

— აბა, მე რა ვიცი, ეგ სკალას ჰკითხე. იტალიური თუ არ იცი, ნუ გეშინია, სკალამ ყველა ენა იცის. ერთი ქართული ვერ ვასწავლე...

— სულ არაფერს გეუბნება?

— საერთოდ არავის ელაპარაკება. თამაშის წინ შემადგენლობას გამოაცხადებს და ეგ არის.

— გასაგებია, მაგრამ ალენ ჟირესმა თქვა, თუ ფეხბურთელი თავის კლუბში არ თამაშობს, ნაკრებში მიწვევას არ უნდა ელოდოსო...

— ეგ ვიცი, ასეც უნდა იყოს. მაგრამ ის კი აღარ ვიცი, მე რა ვქნა.

— თუმცა ჟირესის ოცდაათკაციან შემადგენლობაში კი ხარ...

— ეგ არ ვიცოდი. იმედია, ძირითადშიც მოვხვდები.

— ისე, „სპარტაკი“ საკმაოდ ბევრ გოლს უშვებს. ეტყობა, დაცვა არ გივარგათ...

— დაცვა მართლაც შედარებით მოისუსტებს.

— ჟირესზე რას იტყვი, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?

— კარგი პიროვნებაა და მწვრთნელიც კარგი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში რაც ვნახე, ძალიან მომეწონა. ეტყობა, საქმეში გარკვევისთვის ცოტა დრო კიდევ უნდა და მერე ბოლომდე გამოამჟღავნებს თავის უნარს, მაგრამ მარტო ჟირესი ვერაფერს იზამს, თუ ჩვენ, ფეხბურთელებმაც არ გავანძრიეთ თავი და ფეხი. სხვაგვარად არაფერი გამოვა.

**ქახა შალამბერიძე**



# გოგასთვის ინგლისში ბურუსია, გერმანია კი...

*ორ კვირაზე მეტია, გოგა გახოკიძე უქმადაა. ენსხედეს „ტვენტეს“ ქართველი ნახევარმცველი „უტრეხტთან“ საჩემპიონატო მატჩში გახეულ კუნთს მკურნალობდა და უკვე სრულადაც გამოჯანმრთელდა. ამის მიუხედავად, გახოკიძე ამ უქმეებზე არ ითამაშებს. „ტვენტეს“ უფროსობის აზრით, ჩვენებურს ძალების აღსადგენად დრო კიდევ სჭირდება, რათა თასის ფინალს საუკეთესო ფორმაში შეხვდეს. ასევე ფიქრობს გოგაც...*

— მეოთხე დღეა, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ფეხი საერთოდ არ მაწუხებს. მკურნალობამ ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა და ჯანმრთელად ვარ. ახლა ფორმის აღდგენაა საჭირო.

— **მომავალ ტურში თუ ითამაშებ?**

— არა. მწვრთნელს ველაპარაკე და მითხრა, ამ ტურში უნდა დაისვენოო. სანამ დავშავდებოდი, ასე არ მიფრთხილდებოდა, ახლა კი თან მყვება. ტრავმა კი მოირჩინე, მაგრამ, გამაფრთხილა, ძალების აღდგენა კიდევ გჭირდება და თავს მიხედეო.

— **ესე იგი, ჯერაც სუსტად ხარ...**

— მთლად ასეც არაა. მხოლოდ მეოთხე დღეა, ვვარჯიშობ და კუნთს მაინც გამაგრება სჭირდება. თანაც სათასო ფინალისთვის მინახავენ, ეს ჩვენთვის წლის მატჩია და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. სხვაგვარად სეზონს წარუმატებლად ჩავთვლით.

— **სადაცაა, სეზონი დასრულდება და „ტვენტესთან“ კონტრაქტიც გიმთავრდება...**

— თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა. მგონი, ცუდად არ მითამაშია და...

— **ხელსაყრელი წინადადებები ხომ არ გამოგჩენია?**

— შემოთავაზებები მართლაც მაქვს, მაგრამ ამ საქმეს ჩემი მენეჯერი აგვარებს და კონკრეტულად ჯერ არაფერი ვიცი. ისე, როგორც მითხრა, რამდენიმე კლუბი სერიოზულადაა ჩემით დაინტერესებული, რაც ძალიან მახარებს.

— **ჰოლანდიური კლუბებია თუ სხვა ქვეყნის?**

— ჰოლანდიურიცაა და სხვებიც. ერთ-ერთი ინგლისური კლუბი ყოფილა, გერმანული ვარიანტიცაა. ერთი სიტყვით, სეზონის ბოლოს დაველოდები და მერე ყველაფერს მშვიდად გადავწყვეტ.

— **ერთი რომელიმე კლუბი მაინც თუ იცი?**

— ნაღდად არ ვიცი. ინგლისში გადასვლაზე მენეჯერის გარდა აქაური გაზეთებიდანაც გავიგე, მაგრამ მე ნაკრებში თამაშით განებივრებული არ ვარ და ეს ტრანსფერი უფრო ბუნდოვანი ჩანს. რა ვიცი, ვნახოთ, ისე, გერმანიაში თამაში, რა, ცუდია...

**ქახა შალამბერიძე**



გოგა გახოკიძე (შუაში) ჰოლანდიის თასის ფინალისთვის ძალებს იკრებს

# დავით სირაძე: ჟირესს დაღლილი არ მოვეწონე



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მორიგი ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესმა ფეხბურთელთა ოცდაათკაციანი სია შეადგინა. ჟირესის თავკაცობით ჩვენმა ნაკრებმა პირველი მატჩი 30 მარტს გამართა მანჰაიმში გერმანიის ოლიმპიურ გუნდთან და მაშინ გამოძახებული ფეხბურთელებიდან ჟირესმა ყველას უხმო ოცდაათკაციან სიაში, გარდა ერთისა — გამონაკლისი ბერლინის „უნიონის“ შუახაზელი დავით სირაძე გამოდგა, ვისაც გუშინ შევეხმიანეთ.

— მანჰაიმში ჩასვლის წინა დღეს მეორე ბუნდესლიგაში ვითამაშე და როცა გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გავედი მოედანზე, თამაშებს შორის დასვენება, ფაქტობრივად, ერთი დღე გამომივიდა და იმ დღესაც ნაკრებში ვივარჯიშე. მანჰაიმში დაღლილმა ვითამაშე 90 წუთი და როგორც ჩანს, ჟირესს თავი ვერ მოვაწონე. „უნიონის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე რისტიჩი მენდობა, სულ სასტარტოში მათამაშებს და ახლა ჩემთვის მთავარი ისაა, რომ მეორე ბუნდესლიგაში უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა მქონდეს. ახლა „ნიურნბერგს“ ვხვდებით და რისტიჩმა გვითხრა, თუ წავაგეთ, სახლებში უნდა წავიდეთო — დარჩენილი ექვსი შეხვედრიდან ხუთი უნდა მოვიგოთ, თორემ „უნიონი“ მეორე ბუნდესლიგიდან გავარდება — გვითხრა სირაძემ.

**დავით თავართქილაძე**

# დავბრუნდი, რა, წავედი?!



**„ლოკომოტივ“—„ვიტ ჯორჯიას“** შეხვედრა ერთი რამითაც გამოირჩა. ექვსწლიანი პაუზის შემდეგ ქართულ ფეხბურთში დავით კვინიკაძე დაბრუნდა. ნოდარ ახალკაცის დროინდელ ფედერაციაში მას რვა წელი გენერალური მდივნის თანამდებობა ეკავა. თუმცა დაბრუნებაც არის და დაბრუნებაც. მას საკმაოდ ხშირად ნახავდით ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე. „ლოკომოტივის“ სტადიონზე ბატონ დავითს სამსაჯო ოთახში შევხვდით, ის ხომ მატჩის ინსპექტორი იყო.

— ეს რა დაბრუნებაა?! ჩემი მეგობრები დიდიან მატჩებზე საინსპექტოროდ და, ეტყობა, საფეხბურთო სამყაროში ტრიალი მეც მომენატრა. ვითხოვე, მატჩებზე ვივლი მეთქი და უარი ვეღარ მითხრეს. ეს იყო და ეს, თორემ კვინიკაძე ქართულ ფეხბურთს არასოდეს დასცილებია. ძალიან ხშირად ვესწრებოდი ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერიქსონმა ინგლისი უკვე გადათვალა



## პირველობას ბოლოზე ყოფნა მირჩევნიაო

*ინგლისის ნაკრების შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ ევრო 2004-ზე წასაყვანთაგან ორის გარდა ყველა კანდიდატი შეგულებული ჰყავს. ოფიციალური და საბოლოო სია მან 17 მაისს უნდა წარმოადგინოს, ამწუთას კი 23 ცარიელი გრაფის შესავსებად ჯერ მზად არ არის, მხოლოდ 21-ის შევსება შეუძლია*

**რამდენადაც** ცნობილია, ერიქსონის სიას სულ ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი ვეს ბრაუნი და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავდამსხმელი ჯერმენ დეფო შეემატნენ.

„ვესლი მოდის — თქვა შვედმა — მოდის ჯერმენიც. ის თავდამსხმელია, თავდამსხმელები კი ბევრი არ გვყავს“.

ბრაუნის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მუხლის ორი მძიმე ტრავმა გადაიტანა, მაგრამ მაინც აღიდგინა ფორმა, ხოლო დეფო, რომელიც გასულ სეზონში „ვესტ ჰემთან“ ერთად პრემიერლიგიდან პირველ დივიზიონში გავარდა, ამ იანვარში „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფორმით დაგვიბრუნდა და ჩინებულადაც ათამაშდა.

დეფოს დებიუტი ინგლისის ნაკრებში მარტში, შვედეთთან ამხანაგურ შეხვედრაში შედგა, მან წინ უეინ რუნის მხარდამხარ ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

ერიკსონი: „ამ საღამოს ან ხვალ დილით რომ მივემგზავრებოდეთ, 20-21 კაცს ახლავე დავასახელებდი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატამდე ჯერ დროა. ვეს ბრაუნი, როგორც მოგახსენეთ, მოდის, თუმცა გადამოწმება ყველაფერს სჭირდება. მან ისეთი სერიოზული ტრავმები გადაიტანა, რომ პირადადაც უნდა დაველაპარაკო და მის მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონსაც. ჯერმენზე იმას დავამატებდი, რომ შვედეთთანაც მომეწონა და ვარჯიშებზეც კარგი შთაბეჭდილება დატოვა“.

როგორც ვარაუდობენ, ბრაუნმა ინგლისის ნაკრების სიაში მოსახვედრად გარეთ საუთგეიტის კონკურენციას სძლია, ხოლო დეფომ დარიუს ვასელისას.

ერიკსონის გუნდში მესამე მეკარის პოზიციას „ლესტერ სიტის“ კარის მცველი იან უოქერი და „ნორვიჩ სიტის“ გოლკიპერი, რობერტ გრინი ეცილებიან ერთმანეთს.

მაგრამ, რაც ვთქვით, ყველაფერი მაინც მეორეხარისხოვან, ასე ვთქვათ, უფრო სათადარიგო მოთამაშეებს ეხებოდა, ხოლო ხალხს უპირველეს ყოვლისა ვარსკვლავების ამბები აინტერესებს, კერძოდ, ბოლო ხანს საყოველთაო ყურადღების ცენტრში, თან მეტისმეტად მძაფრად, გუნდის კაპიტანი და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექემი მოხვდა, მის შესახებ დაყრილ ჭორებს ამასწინათ „სარბიელიც“ შეეხო, ინგლისური ტაბლოიდები კი ცხადია, გალაღდნენ და თუკი ამ 28 წლის კაცს ცხოვრებაში ვინმე გოგოსთვის, ქალიშვილისთვის ან ქალისთვის გაუღიმია, ყველას გვარ-სახელი მოიძიეს.

„მე დევიდს რამდენჯერმე ვესაუბრე. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. ამას ჩვეულებრივ ვაკეთებ და ვიცი, რომ თავს ნორმალურად გრძნობს. მგონი, მას ჩვენი გასამხნევებელი არაფერი სჭირს, მაგრამ თუ საჭირო იქნება, აქ ვართ და მხარშიც ამოვუდგებით. გარწმუნებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ის აბსოლუტურად მობილიზებული იქნება. ფსიქოლოგიური კუთხით მასთან დაკავშირებით არაფერი მაღელვებს. იმედი მაქვს, ტრავმების და გადაქანცვის თვალსაზრისითაც ყველაფერი წესრიში იქნება“ — დაუმატა ერიქსონმა.

შემდეგ მწვრთნელს ერთობ განსაკუთრებულ და გამორჩეულ თემაზე, ინგლისური მედიიის და ვარსკვლავების ურთიერთობებზე ჰკითხეს.

„ფაქტია, რომ ფეხბურთს და პრესას ერთმანეთი სჭირდებათ. ისიც ფაქტია, რომ ამ ქვეყანაში პრესა ძალიან ძლევამოსილია და სანამ ის ფეხბურთის ჩარჩოებში ეტევა, კრიტიკასაც ვიღებ და ვაღიარებ. აი, რაც ვერაფრით გამიგია, ეს გახლავთ ინგლისელების გადამეტებული ინტერესი ადამიანის პირადი ცხოვრებისადმი. ვიმეორებ, ეს ვერ გამიგია, თორემ სხვა რა გზა მაქვს, აქ ვცხოვრობ და რაც ხდება ვეგუები. ჩემს სამშობლოში, შვედეთში ან იტალიაში, სადაც წლობით მიმუშავია, გაზეთები ფეხბურთზე წერენ და არა შენს პირად ცხოვრებაზე. პირველ გვერდზე ყოფნას გაცილებით სჯობია ბოლო გვერდზე ყოფნა“ — მიუგო ნაკრების თავკაცმა.

**პაპუნა ძედია**





დიდიე დეშანს არსენ ვენგერის რჩევები უთუოდ წაადგება

# ალო, არსენ, გვითხარი რამე!

**„მონაკომ“** არსენ ვენგერს „ჩელსის“ დაზვერვა სთხოვა — ვენგერმა ხომ სახელი სწორედ „მონაკოს“ მწვრთნელობით გაითქვა, ხოლო ეს გუნდი დღეს დიდიე დეშანის ხელმძღვანელობით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სწორედ ზემოხსენებულ „ჩელსის“ ხვდება.

„მონაკოს“ დირექტორი ანრი ბიანშერი: „არსენთან მუდმივ კავშირში ვიქნები. მე თუ მკითხავთ, ის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია და ვინაიდან ვმეგობრობთ კიდეც, „ჩელსიზე“ ინფორმაცია რომ მომაწოდოს, ამაში არაბუნებრივი არაფერი იქნება. როდესაც ასეთი, საგანგებო საფეხბურთო ინტელექტის ადამიანს იცნობ, მისი აზრის არგათვალისწინება უგუნურობაა. მე და არსენმა „მონაკოში“ შვიდი წელიწადი ვიმუშავეთ მხარდამხარ და დანამდვილებით ვიცი, როგორი ანალიტიკოსიცაა. ამას დაამატეთ ის, რომ დიდიე დეშანმა თავადაც იცის „ჩელსის“ შესახებ, იგი ხომ ლონდონის ამ გუნდში თამაშობდა, პლუს შაბათს, „ევერტონთან“ შეხვედრას „სტემფორდ ბრიჯზე“ დაესწრება“.

არსენ ვენგერის შეხედულება „ჩელსისა“ და „მონაკოს“ დაპირისპირების შესახებ კი ისეთია, რომ ფრანგულ მხარეს წესით, მოსასმენად არ უნდა ესიამოვნოს.

ვენგერი: „ფავორიტი ამ წყვილში „ჩელსია“. ასე ვიტყოდი, ასიდან 70 პროცენტი მისია. „ჩელსი“ კარგი გუნდია, ჩინებული სეზონი აქვს და არ მესმის, რატომ უნდა შეუწყდეს ეს წარმატებული სვლა“.

ბიანშერი: „ის, რაც კლაუდიო რანიერის ხელმძღვანელობით „ჩელსიმ“ ამ სეზონში შეძლო, განსაკუთრებული ამბავია. და მაინც, „მონაკოს“ უპირატესობა აქვს და ეს ორ სეზონზე მეტი ხნის შეთამაშებაა. ბიჭებმა ერთმანეთის ხელწერა იციან და ერთობლივი სულისკვეთებაც ჩამოუყალიბდათ.“

**პაპუნა ძედია**

# არასოდეს იქნები მარტო




*ლივერპულში იხსენებენ თავიანთ დაღუპულებს. ზუსტად თხუთმეტი წლის წინათ, შეფილდში, სათასო თამაშის დაწყებისას „ჰილსბოროს“ სტადიონის „ლეპინგ ლეინის“ ტერასაზე დაიღუპა 96 ლივერპულელი გულშემატკივარი. იმ დროიდან 15 აპრილი გლოვის დღეა „ენფილდის“ სტადიონზე. ხალხი თავმოყრას იწყებს ხოლმე შენკლის ჭიშკრებთან და პატივს მიაგებს ინგლისური ფეხბურთის ბოლო დიდ მსხვერპლს. გულშემატკივარი, რომელსაც შვილი მიჰყავს შენკლის ჭიშკრისკენ, თავისი მაისურით მიგვანიშნებს, რომ „ლივერპული“ დღესაც ითხოვს „სამართალს“ და დაღუპულებსაც არასოდეს დაივიწყებს. ამ დღეს ხალხმრავლობაა ხოლმე „ენფილდის“ ყველაზე ცნობილ ტრიბუნაზე, „კოპზე“, რომლის ფერხთითაც ხსოვნის ცერემონიალი ტარდება ხოლმე. „ლივერპული“ არ ღალატობს თავის განთქმულ და სულში ჩამნვდომ ლოზუნგს: „არასოდეს იქნები მარტო“.*






Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

### I ჯგუფი. VI ტური

**სთრონგესტი (ბოლივია) 0:2 სან კაეტანო (ბრაზილია)**

0:1 სომალია (9), 0:2 ვარლეი (85)

**პენიაროლი (ურუგვაი) 2:0 ამერიკა (მექსიკა)**

1:0, 2:0 ბუენო (83, 90)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| სან კაეტანო | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| პენიაროლი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| სთრონგესტი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:14 | 4 |

*„ამერიკა“ და „სან კაეტანო“ გავიდნენ შემდეგ ეტაპზე*

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXIX ტური

**ბაზელი 2:0 ვილი**

1:0 ჩიპერფილდი (1), 2:0 მ. დელგადო (58)

**გრასჰოპერი 1:5 სერვეტი**

1:0 განე (27), 1:1, 1:2 კადერი (43, 59), 1:3 ლომბარდო (62), 1:4 ობრადოვიჩი (65), 1:5 დუგიჩი (87)

**სენტ გალენი 2:0 აარაუ**

1:0 მარიჩი (24), 2:0 ხაირო (87)

**თუნი 3:0 იანგ ბოისი**

1:0 ლუსტრინელი (26), 2:0 ზანი (75), 3:0 რაიმონდი (90)

**ქსამაქსი 4:2 ციურიხი**

0:1 პეტროსიანი (17), 1:1 ფუტი (20), 2:1 ფორშელე (34), 2:2 მუფი (46), 3:2 რეი (65), 4:2 ფუტი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 29 | 23 | 5 | 1 | 77:24 | 74 |
| იანგ ბოისი | 29 | 17 | 5 | 7 | 59:41 | 56 |
| სერვეტი | 29 | 14 | 6 | 9 | 54:45 | 48 |
| ციურიხი | 29 | 11 | 4 | 14 | 45:44 | 37 |
| თუნი | 29 | 9 | 10 | 10 | 39:46 | 37 |
| სენტ გალენი | 29 | 10 | 6 | 13 | 44:51 | 36 |
| გრასჰოპერი | 29 | 10 | 4 | 15 | 49:63 | 34 |
| აარაუ | 29 | 7 | 10 | 12 | 46:57 | 31 |
| ვილი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:54 | 26 |
| ქსამაქსი | 29 | 6 | 6 | 17 | 31:51 | 24 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა გადადებული მატჩი

**მოზერუელი 1:0 დანფერმლაინი**

1:0 დ. ადამსი (10)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 28 | 3 | 0 | 97:18 | 87 |
| რეინჯერსი | 32 | 22 | 5 | 5 | 64:26 | 71 |
| ჰართსი | 32 | 15 | 9 | 8 | 46:35 | 54 |
| დანფერმლაინი | 32 | 12 | 10 | 10 | 34:42 | 46 |
| მოზერუელი | 32 | 11 | 9 | 12 | 37:37 | 42 |
| დანდი იუნ. | 32 | 11 | 8 | 13 | 38:50 | 41 |
| ჰიბერნიანი | 32 | 9 | 10 | 13 | 35:50 | 37 |
| ლივინგსტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 37:47 | 35 |
| დანდი | 32 | 8 | 9 | 15 | 39:53 | 33 |
| კილმარნოკი | 32 | 9 | 5 | 18 | 39:67 | 32 |
| აბერდინი | 31 | 8 | 7 | 16 | 36:49 | 31 |
| პარტიკი | 32 | 4 | 6 | 22 | 31:59 | 18 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## იტალია

პაპუნა კედია

# პარმაში სან რემოს ფესტივალი არ გამოვა

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიენა | — | მილანი |
| ლეჩე | — | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| პერუჯა | — | ინტერი |
| ლაციო | — | ანკონა |
| ინტერი | — | ბოლონია |
| ემპოლი | — | ბრეშა |
| პარმა | — | იუვენტუსი |
| სამპდორია | — | პერუჯა |
| კიევო | — | რეჯინა |
| მოდენა | — | რომა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 29 | 22 | 6 | 1 | 57:19 | 72 |
| რომა | 28 | 19 | 6 | 3 | 62:14 | 63 |
| იუვენტუსი | 29 | 19 | 5 | 5 | 57:34 | 62 |
| პარმა | 29 | 14 | 8 | 7 | 47:38 | 50 |
| ინტერი | 29 | 14 | 7 | 8 | 50:31 | 49 |
| ლაციო | 28 | 14 | 5 | 9 | 43:31 | 47 |
| უდინეზე | 29 | 12 | 9 | 8 | 36:32 | 45 |
| სამპდორია | 29 | 10 | 12 | 7 | 36:34 | 42 |
| ბოლონია | 29 | 9 | 8 | 12 | 38:43 | 35 |
| კიევო | 29 | 8 | 9 | 12 | 29:35 | 33 |
| ბრეშა | 29 | 7 | 11 | 11 | 45:50 | 32 |
| სიენა | 29 | 7 | 10 | 12 | 35:44 | 31 |
| რეჯინა | 29 | 5 | 13 | 11 | 24:40 | 28 |
| ლეჩე | 29 | 7 | 7 | 15 | 32:49 | 28 |
| მოდენა | 29 | 5 | 12 | 12 | 24:38 | 27 |
| ემპოლი | 29 | 6 | 8 | 15 | 20:45 | 26 |
| პერუჯა | 29 | 3 | 13 | 13 | 36:51 | 22 |
| ანკონა | 29 | 1 | 7 | 21 | 16:59 | 10 |

**„სტადიო ტარდინიზე“** დღეს მეოთხე ადგილი მესამეს მასპინძლობს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მართალია, ჩემპიონი ვერც მასპინძელი „პარმა“ ხდება და ვერც სტუმარი „იუვენტუსი“, მაგრამ ქულები ორივესთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ორივენი საგაისო ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას და თან, რაც შეიძლება კომფორტულად მოხვედრას ცდილობენ.

შეგახსენებთ: იტალიიდან ჩემპიონთა ლიგაში ოთხი გუნდი ხვდება, ხოლო ამ ოთხიდან პირველი და მეორე პირდაპირ ჯგუფებში განაწილდებიან, ხოლო მესამეს და მეოთხეს წინასწარი, ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევს. ერთი სიტყვით, სერია A-ს ოთხეულში მოხვედრა კარგია, მეორეზე გასვლა კი მთლად უკეთესი. ნუ, რაც შეეხება პირველ ადგილს, აქ, დღევანდელი გადასახედიდან სალაპარაკო არაფერია, „მილანი“ კომფორტულადაც ლიდერობს და ამ ტურშიც მხოლოდ და მხოლოდ „სიენას“ ხვდება.

თუმცა, დავუბრუნდეთ მილანის ყურის ძირში მდებარე პატარა ქალაქ პარმას და მის „სტადიო ტარდინის“, სადაც გაკოტრებული, მაგრამ ყოჩაღი გუნდი, რომელშიც თამაშობენ ახალგაზრდა ფეხბურთელები — დანიელე ბონერა, მატეო ფერარი და ალბერტო ჯილარდინო, მასპინძლობს გუნდს, რომელსაც მათი შეძენა სურს. გარდა ამისა, „პარმაში“ თამაშობს მანუელე ბლაზიც, რომელიც სულაც „იუვენტუსის“ საკუთრებაა და „ტარდინიზე“ გასესხებულია.

რაც შეეხება „ბებერ ქალბატონს“, მისი სავარაუდო შემადგენლობა ბუნდოვანია. ერთი კვირის წინ, როდესაც „შავ-თეთრებმა“ „ლაციო“ დაამარცხეს, მარჩელო ლიპიმ მხოლოდ ერთი ნომინალური თავდამსხმელით, დავიდ ტრეზეგეთი ამჯობინა თამაში. რა მოხდება ახლა, არავინ იცის, მწვრთნელს ტრეზეგეს გარდა შეუძლია ფაბრიციო მიკოლისა და მარკო დი ვაიოს გამოყენებაც და საერთოდ, როგორც ამბობენ, უკვე ალესანდრო დელ პიეროსაც უნდა ველოდოთ მოედანზე.



მარჩელო ლიპი 38 დღიანი უქმობის შემდეგ, თუ დასჭირდა, ალესანდრო დელ პიეროსაც დაიხმარს

შეგახსენებთ, რომ „იუვეს“ დიდი ვარსკვლავი 38 დღის განმავლობაში მკურნალობდა ბარძაყის დაჭიმულ კუნთს, რომელიც, ბოლო დროს, თითქოს, გამოკეთდა და ალექსმა „სან რემეზესთან“ ამხანაგურ შეხვედრაში (ხომ ხედავთ, სან რემოში ფეხბურთსაც თამაშობენ) ორი გოლი გაიტანა. როგორი შთაბეჭდილება დატოვა დელ პიერომ? უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად მოუმზადებლის, თუმცა ის მაინც დელ პიეროა და ლიპიმ შეიძლება „პარმასთან“ მატჩის განაცხადში შეიყვანოს.

ხოლო თუ ეს ვინმესთვის რამეს ნიშნავს, „იუვემ“ „სან რემეზეს“ 7:2 მოუგო და დელ პიეროს გატანილი ორის გარდა, ბურთები შეყარეს ტრეზეგემ, მარესკამ და სამიც მიკოლიმ.

პარმადან ახლა სიენაში გადავინაცვლოთ, სადაც, როგორც მოგახსენეთ ლიდერი „მილანი“ ჩადის [illegible] თამაშზე იტალიელი მიმომხილველები ასე ამბობენ: ის სამი კვირის წინ რომ გამართულიყო, „შავ-წითლები“ ულაპარაკოდ მოიგებდნენ, მაგრამ დღეს რა მოხდება, კაციშვილმა არ იცისო. მართლაც, მილანელები შეუჩერებლები ჩანდნენ, სანამ „კიევოსთან“ და „მოდენასთან“ ფრეები არ ითამაშეს და ზედ, ჩემპიონთა ლიგაში, ესპანურ „დეპორტივოსთან“ 0:4 არ წააგეს. ამის შემდეგ, წინა ტურში, „მილანმა“ „სან სიროზე“ „ემპოლისთან“ მართალია მოიგო, მაგრამ 85-ე წუთზე მსაჯის გამოგონებული და პირლოს გატანილი პენალტის წყალობით.

სიენაში როგორ შეტევას მიმართავს კარლო ანჩელოტი, ჯერ უცნობია. ჩვეულებრივ, ანჩელოტის ორ წინა ფორვარდს უკან კაკას გამოყვანა უყვარს, მაგრამ ამბობენ, არც ერთ თავდამსხმელს უკან ამოფარებული კაკასა და რუი კოშტას წყვილია ურიგო საქმეო.

ისე, მწვრთნელს კახა კალაძის გარდა მთელი გუნდი ჯანზე ჰყავს. ასე განსაჯეთ, ფილიპო ინძაგი რომ ფილიპო ინძაგია და ექიმთან ბელგიაში დადის, ალბათ, ისიც კი იქნება მოედანზე.

ხოლო „რომას“ ძალიან უნდა „მილანს“ ფეხი დაუცდეს, ოღონდ, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან საეჭვოა ოცნება აუხდეს. ზემოთ არ ვთქვით, „მილანი“ კომფორტულად ლიდერობსო? თან, „რომამ“ თავად უნდა მოიგოს და მოიგოს ყველაფერი.

მეორე მხრივ, ყველაფრისა რა მოგახსენოთ და ამ ტურში, მოდენაში ფაბიო კაპელოს რაზმმა წესით სწორედაც რომ უნდა მოიგოს. „რომას“ წინა ტურისგან განსხვავებით უბრუნდება ფრანჩესკო ტოტი, მაგრამ ნახევარდაცვაში არ იქნებიან ემერსონი და ოლივიე დაკური. სხვათა შორის, წინა ტურში ვალტერ სამუელის გარეშე „რომას“ დაცვაც გვარიანად გაწვალდა და იღბლის დახმარება დასჭირდა. იქნებ კაპელოს გასახარად სამუელმა შეძლოს მოედანზე გასვლა.

## ინგლისი

კოტე კაკალია

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| არსენალი | — | ლიდსი |
| **დღეს** | | |
| ბლეკბერნი | — | ლესტერი |
| ბოლტონი | — | ტოტენჰემი |
| ჩარლტონი | — | ბირმინგემი |
| ჩელსი | — | ევერტონი |
| ლივერპული | — | ფულემი |
| სიტი | — | საუთჰემპტონი |
| პორტსმუთი | — | მანჩესტერი |
| ვულვზი | — | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ასტონ ვილა | — | ნიუკასლი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 662 | პლაზა-ლივერპული | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1.64 | 1,23 | 1,21 |
| 24.00 | 664 | უონდერერსი-მირამარი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| | | **ჩილე. აპერტურა. XII ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 678 | კოლო კოლო-უნ.ესპანიოლა | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 23.00 | 679 | კოკიმბო-პუერტო მონტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 23.00 | 680 | უნ.კატოლიკა-სან ფელიპე | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1.59 |
| 23.00 | 685 | აუდაქსი-კობრესალი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2.19 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 677 | რეინჯერსი-უაჩიპატო | 3.6 | 3,2 | 1,8 | 1.69 | 1.19 | 1.15 |
| 23.00 | 681 | უონდერერსი-კურიკო | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.19 | 1.72 |
| 23.00 | 682 | ტემუკო-პალესტინო | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 23.00 | 683 | კონსეპსიონი-სერენა | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 23.00 | 684 | კობრელოა-უნ.ჩილე | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| | | **მექსიკა. კლაუსურა. XV ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 01.00 | 689 | ტოლუკა-მონტერეი | 1.65 | 3.3 | 4,8 | 1,1 | 1.22 | 1,95 |
| 03.05 | 690 | მორელია-სან ლუისი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1,22 | 1.88 |
| 05.00 | 692 | ნეკაქსა-ტეკოსი | 1,45 | 3,8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 06.30 | 693 | ნეკახა-ვერაკრუსი | 1.85 | 3.2 | 3.6 | 1,17 | 1.22 | 1.69 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 01.00 | 688 | ხაგუარესი-ატლანტე | 1.45 | 3.6 | 6.5 | 1.03 | 1.18 | 2,31 |
| 22.00 | 695 | პუმასი-ირაპუატო | 1,45 | 3.6 | 6.5 | 1,03 | 1.18 | 2.31 |
| 24.00 | 696 | კერეტარო-ატლასი | 2.35 | 3.1 | 2.7 | 1,33 | 1,25 | 1.44 |
| 24.00 | 697 | პუებლა-კრუს ასული | 2.0 | 3,2 | 3.3 | 1.23 | 1,24 | 1.62 |
| | | **აშშ. MLS. III ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 01.00 | 700 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 04.30 | 701 | ნიუ ინგლენდი-სან ხოსე | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| 05.30 | 702 | ჩიკაგო-დალასი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 05.30 | 703 | კანზასი-კოლამბუსი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 06.00 | 704 | კოლორადო-ლოს ანჯელესი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 11.00 | 715 | კობე-კაშივა | 2.25 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,24 | 1,47 |
| 12.00 | 716 | სერეძო-კაშიმა | 2,9 | 3,1 | 2,2 | 1,49 | 1,25 | 1.28 |
| 12.00 | 717 | ივატა-ტოკიო | 1,4 | 3.6 | 6.5 | 1 | 1,15 | 2,31 |
| 12.00 | 718 | ვერდი-ჰიროსიმა | 1,85 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,22 | 1,66 |
| 14.00 | 719 | იოკოჰამა-გამბა | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,13 | 1,21 | 1,77 |
| 15.00 | 720 | ნაგოია-შიმიცუ | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | **18 აპრილი** | | | | | | |
| 10.00 | 721 | ურავა-ოიტა | 1.65 | 3,4 | 4,4 | 1.11 | 1,2 | 1,91 |
| 11.00 | 722 | იჩიჰარა-ნიიგატა | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **17 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 724 | ნანტი-სოშო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5016 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5,0 | 2,15 | 2,15 | 1,5 | 1,5 | 1,07 |
| 5017 | ბლეკბერნი-ლესტერი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5018 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5019 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5020 | ჩელსი-ევერტონი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5021 | ლივერპული-ფულემი | 1,9 | 2,2 | 6,0 | 1,01 | 1,44 | 1,6 |
| 5022 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5023 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 3,4 | 2,1 | 2,7 | 1,29 | 1,5 | 1,18 |
| 5024 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5025 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5026 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 5027 | შალკე-ლევერკუზენი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5028 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1,26 | 1,57 | 1,21 |
| 5029 | მიუნხენი-ჰამბურგი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5030 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,14 |
| 5031 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5032 | კიოლნი-ბოხუმი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5033 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,6 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,89 |
| 5034 | სიენა-მილანი | 5,0 | 2,0 | 2,2 | 1,42 | 1,52 | 1,04 |
| 5035 | ლეჩე-უდინეზე | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,18 | 1,58 | 1,27 |
| 5037 | ემპოლი-ბრეშა | 2,8 | 1,95 | 3,8 | 1,14 | 1,61 | 1,28 |
| 5038 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 2,5 | 6,5 | 1,01 | 1,34 | 1,8 |
| 5039 | ლაციო-ანკონა | 1,1 | 4,2 | 10,0 | 1 | 1 | 2,95 |
| 5040 | პარმა-იუვენტუსი | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 5041 | სამპდორია-პერუჯა | 1,9 | 2,15 | 5,6 | 1 | 1,41 | 1,55 |
| 5042 | მოდენა-რომა | 5,0 | 2,0 | 2,2 | 1,42 | 1,52 | 1,04 |
| 5043 | ატლეტიკო-რეალი | 4,2 | 2,05 | 2,45 | 1,37 | 1,54 | 1,11 |
| 5044 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1,35 | 1,71 |
| 5045 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5046 | ალბასეტე-სელტა | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 5047 | სევილია-რასინგი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5048 | ბილბაო-სარაგოსა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5049 | ვალენსია-სოსიედადი | 1,7 | 2,45 | 6,5 | 1 | 1,34 | 1,77 |
| 5051 | მალიორკა-ვილიარეალი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5052 | ბარსელონა-მალაგა | 1,75 | 2,35 | 6,5 | 1 | 1,37 | 1,72 |

## ჩემპიონები და თასის აღება

**9004**

**ესპანეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,7 |
| ვალენსია | 1,7 |
| ბარსელონა | 10,0 |
| დეპორტივო | 30,0 |

**9005**

**საფრანგეთი (18.04)**

| | |
|---|---|
| ლიონი | 1,5 |
| მონაკო | 2,0 |
| პსჟ | 4.0 |

**9010**

**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,45 |
| ოლიმპიაკოსი | 2,0 |

**9026**

**ჩემპიონთა თასი (20.04)**

| | |
|---|---|
| ჩელსი | 2,3 |
| დეპორტივო | 2,8 |
| პორტუ | 4.0 |
| მონაკო | 5,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5516 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ბლეკბერნი-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ჩელსი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ლივერპული-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | სიტი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | შალკე-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | მიუნხენი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | შტუტგარტი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | კიოლნი-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ვერდერი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სიენა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | ლეჩე-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | ემპოლი-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ინტერი-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | პარმა-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სამპდორია-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მოდენა-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ატლეტიკო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | ალბასეტე-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | სევილია-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | ბილბაო-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ვალენსია-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | მურსია-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | მალიორკა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5552 | ბარსელონა-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5416 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 2.5 | 1,55 |
| 5417 | ბლეკბერნი-ლესტერი | 1,65 | 2,3 |
| 5418 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 3,1 |
| 5419 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,75 | 2.1 |
| 5420 | ჩელსი-ევერტონი | 1,3 | 3,2 |
| 5421 | ლივერპული-ფულემი | 1,4 | 3,0 |
| 5422 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,7 | 2,2 |
| 5423 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 2,0 | 1,8 |
| 5424 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5425 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5426 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,7 | 2,2 |
| 5427 | შალკე-ლევერკუზენი | 1,8 | 2.0 |
| 5428 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,95 | 1.85 |
| 5429 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,8 | 2.0 |
| 5430 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.25 | 3,4 |
| 5431 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5432 | კიოლნი-ბოხუმი | 1,95 | 1,85 |
| 5433 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,3 | 3,4 |
| 5434 | სიენა-მილანი | 2,3 | 1,65 |
| 5435 | ლეჩე-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 5437 | ემპოლი-ბრეშა | 1,8 | 2,0 |
| 5438 | ინტერი-ბოლონია | 1,3 | 3,4 |
| 5440 | პარმა-იუვენტუსი | 1,95 | 1,85 |
| 5441 | სამპდორია-პერუჯა | 1,45 | 2.8 |
| 5442 | მოდენა-რომა | 2,4 | 1.6 |
| 5443 | ატლეტიკო-რეალი | 2.0 | 1.8 |
| 5444 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,35 | 3,2 |
| 5445 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,65 | 2,3 |
| 5446 | ალბასეტე-სელტა | 1,85 | 1.95 |
| 5447 | სევილია-რასინგი | 1,8 | 2.0 |
| 5448 | ბილბაო-სარაგოსა | 1,7 | 2,2 |
| 5449 | ვალენსია-სოსიედადი | 1.3 | 3,4 |
| 5451 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,75 | 2,1 |
| 5452 | ბარსელონა-მალაგა | 1,35 | 3,2 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5316 | პორტსმუთი-მანჩესტერი | [illegible] | [illegible] |
| 5317 | ბლეკბერნი-ლესტერი | 1.7 | 1.9 |
| 5318 | ბოლტონი-ტოტენჰემი | [illegible] | 1.9 |
| 5319 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,7 | 1.9 |
| 5320 | ჩელსი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 5321 | ლივერპული-ფულემი | 1.75 | 1,85 |
| 5322 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5323 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1.9 |
| 5324 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5325 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,6 | 2.0 |
| 5326 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,6 | 2.0 |
| 5327 | შალკე-ლევერკუზენი | 1,6 | 2.0 |
| 5328 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,6 | 2.0 |
| 5329 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1,6 | 2.0 |
| 5330 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.75 | 1,85 |
| 5331 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,65 | 1.95 |
| 5332 | კიოლნი-ბოხუმი | 1,6 | 2.0 |
| 5333 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | სიენა-მილანი | 1.65 | 1,95 |
| 5335 | ლეჩე-უდინეზე | 1,65 | 1.95 |
| 5337 | ემპოლი-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5340 | პარმა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სამპდორია-პერუჯა | 1.65 | 1,95 |
| 5342 | მოდენა-რომა | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ატლეტიკო-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5344 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 5345 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | ალბასეტე-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5347 | სევილია-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5348 | ბილბაო-სარაგოსა | 1, 65 | 1.95 |
| 5349 | ვალენსია-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| 5351 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5352 | ბარსელონა-მალაგა | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5216 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 1.9 | 1,7 |
| 5217 | ბლეკბერნი-ლესტერი | 1.9 | 1,7 |
| 5218 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5219 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5220 | ჩელსი-ევერტონი | 1,95 | 1,65 |
| 5221 | ლივერპული-ფულემი | 1,85 | 1.75 |
| 5222 | სიტი-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5223 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 5224 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5225 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,85 | 1,75 |
| 5226 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1.9 | 1,7 |
| 5227 | შალკე-ლევერკუზენი | 1.8 | 1.8 |
| 5228 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1,85 | 1,75 |
| 5229 | მიუნხენი-ჰამბურგი | 1.9 | 1,7 |
| 5230 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.9 | 1,7 |
| 5231 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2.0 | 1.6 |
| 5232 | კიოლნი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5233 | ვერდერი-ჰანოვერი | 2.1 | 1,55 |
| 5234 | სიენა-მილანი | 1,8 | 1.8 |
| 5235 | ლეჩე-უდინეზე | 1,8 | 1.8 |
| 5237 | ემპოლი-ბრეშა | 1,7 | 19 |
| 5238 | ინტერი-ბოლონია | 1,95 | 1.65 |
| 5239 | ლაციო-ანკონა | 2.3 | 1,4 |
| 5240 | პარმა-იუვენტუსი | 1,9 | 1,7 |
| 5241 | სამპდორია-პერუჯა | 1,85 | 1,75 |
| 5242 | მოდენა-რომა | 1,8 | 1,8 |
| 5243 | ატლეტიკო-რეალი | 1,95 | 1.65 |
| 5244 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,95 | 1,65 |
| 5245 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 5246 | ალბასეტე-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 5247 | სევილია-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 5248 | ბილბაო-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 5249 | ვალენსია-სოსიედადი | 1.9 | 1,7 |
| 5251 | მალიორკა-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 5252 | ბარსელონა-მალაგა | 1,95 | 1,65 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5116 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5117 | ბლეკბერნი-ლესტერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5118 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5119 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5120 | ჩელსი-ევერტონი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | ლივერპული-ფულემი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5122 | სიტი-საუთჰემპტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5123 | ვულვერჰემპტონი-მიდლსბრო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 5124 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5125 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5126 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 2.8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5127 | შალკე-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5128 | დორტმუნდი-ბაიერნი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5129 | მიუნხენი-ჰამბურგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5130 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5131 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5132 | კიოლნი-ბოხუმი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5133 | ვერდერი-ჰანოვერი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5134 | სიენა-მილანი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 5135 | ლეჩე-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5137 | ემპოლი-ბრეშა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ინტერი-ბოლონია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5140 | პარმა-იუვენტუსი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5141 | სამპდორია-პერუჯა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5142 | მოდენა-რომა | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5143 | ატლეტიკო-რეალი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5144 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5145 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5146 | ალბასეტე-სელტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5147 | სევილია-რასინგი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5148 | ბილბაო-სარაგოსა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5149 | ვალენსია-სოსიედადი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5151 | მალიორკა-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5152 | ბარსელონა-მალაგა | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| პირველი წრე | პირველი წრე |
| ინდიანა (1) | მინესოტა (1) |
| ბოსტონი (8) | დენვერი (8) |
| მაიამი (4) | საკრამენტო (4) |
| ნიუ ორლეანი (5) | დალასი (5) |
| ნიუ ჯერსი (2) | ლეიკერსი (2) |
| ნიუ იორკი (7) | ჰიუსტონი (7) |
| დეტროიტი (3) | სან ანტონიო (3) |
| მილუოკი (6) | მემფისი (6) |

# 2004 NBA Playoffs

# მიდი, ინდი!

## დასავლეთი ჯორდანის ჰალიდან ამოვიდა

*ძალიან უცნაური რეგულარული ჩემპიონატი იყო და პლეი ოფიც საინტერესო უნდა გამოდგეს. დასავლეთი ტრადიციულად აღემატება დიდი „ჩიკაგო ბულზის" დაშლის შემდეგ ყავლგასულ აღმოსავლეთს, თუმც წლეულს აქეთაც გამოჩნდნენ გუნდები — „ინდიანა" და „დეტროიტი" — რომლებიც ფინალში თავს არ შეირცხვენენ და ხუთწლიანი ბატონობის შემდეგ იქნებ ჩემპიონობაც წაართვან ზორბა დასავლელებს. სხვა აღმოსავლელებისა კი რა მოგახსენოთ. ისინი დასავლეთში რომ ყოფილიყვნენ, პლეი ოფში ვერ მოხვდებოდნენ. დიდი კონკურენციის გამო გარეთ დარჩნენ სტაჟიანი მეპლეიოფეები „იუტა" (20 წელია არ გაუცდენია) და „პორტლენდი" (21).*

*პლეი ოფი ოთხი წყვილისთვის დღეს იწყება, დანარჩენებიც ხვალ შეუდგებიან საქმეს.*

### ინდიანა — ბოსტონი



სადაც ლარი ბერდია, იმ გუნდს ცხრილის შუაში ყურყუტი და პლეი ოფში სტატისტად ყოფნა ვერ დააკმაყოფილებს. ლარი-ლეგენდა ვერც მოთამაშეობისას ურიგდებოდა მარცხს, ვერც მწვრთნელობაში და ახლა უკვე როგორც პრეზიდენტიც მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს გუნდისგან. სამწლიანი შესვენების შემდეგ ის კვლავ „ინდიანაშია" და მწვრთნელადაც 1998-2000 წლებში მისი თანაშემწე რიკ კარლაილი მოიწვია. ამ ტანდემმა პირველივე სეზონში უნიკალურ შედეგს მიაღწია — „ინდიანას" 82 თამაშიდან კლუბისთვის სარეკორდოდ ბევრი, 61 მოაგებინა, თან არცთუ ძვირი შემადგენლობით. პლეი ოფშიც საჩემპიონო ამბიციით მიდის 2000 წლის ფინალმოვლილი, შემდეგ კი ულარიბერდობაში ჩამოსაშუალოებული „პეისერზი".

აღმოსავლეთის ნახევარგანაკვეთში უძლიერესი და უსუსტესი გუნდების სერიაში მაინც ბუდობს ინტრიგა, სიმბოლურიც და ხორციელიც. გაგახსენებთ, ლარის ხომ მთელი თავისი ლეგენდარული კარიერა სწორედ „ბოსტონ სელტიქსისთვის" შეუწირავს. ესეც რომ არაფერი, „ბოსტონი" საპლეიოფო გუნდია და „ინდიანა" შარშან სწორედ მან იმსხვერპლა. ხოლო რეალური პროგნოზი გვეუბნება — თუ ინდიანელმა მოუშორებელმა ჭირმა რონ არტესტმა ბოსტონელ პოლ პირსს თამაშში საშუალოდ 20 ქულაზე ნაკლები ჩააგდებინა, „ინდიანა" სერიას 4:0 მოიგებს.

### ნიუ ჯერსი — ნიუ იორკი

საინტერესო წყვილია — მსოფლიოს ყველაზე ხმაურიანი ქალაქის გათამამებულ შვილ „ნეთსს" და დაჩაგრულ გარეუბნელ „ნიუ ჯერსის" ერთმანეთში მთლად კეთილი მეზობლობა ვერა აქვთ. დღეს „ნიუ ჯერსი" გადმოჰყურებს მეტოქეს ზემოდან, ბოლო ორი ფინალის მონაწილეა, პლეი ოფის სამი წლის უნახავ „ნიუ იორკს" კი მხოლოდ გაუმართლა, აღმოსავლეთში ასეთი სუსტი გუნდები რომ შეყრილან და ამის წყალობით გაძვრა პლეი ოფში.

თუ ტრავმებმა არ მოუსწრეს, „ნიუ ჯერსი" ფავორიტია და საინტერესოც იქნება მისი ლიდერის ჯეისონ კიდის დაპირისპირება ძველ ოპონენტ სტივენ მარბერისთან.

### დეტროიტი — მილუოკი



რაშიდ ვოლესი „დეტროიტში" ცოტას ნერვიულობს და უფრო ცოტას თამაშობს

„დეტროიტი" წლიდან წლამდე გეგმაზომიერად უმატებს და თუ ახლაც გასცდა წინა ზღუდეს, პლეი ოფის ფინალში ამოყოფს თავს. ამის რეალური შანსი არსებობს, „მილუოკი" სუსტი მეტოქეა, საერთოდაც კონფერენციაში თითქმის არ სახლობენ კაციჭამიები და მძლავ „ინდიანასაც" მხოლოდ აღმოსავლეთის ფინალში თუ შეახვედრებს სატურნირო ბადე. „დეტროიტი" ჯერ სრულად ვერ იყენებს შუა სეზონში „პორტლენდიდან" გადმოყვანილ შლეგ თუმც ნიჭიერ თავდამსხმელ რაშიდ ვოლესს. თუ რაშიდი პლეი ოფში ბოლომდე გაქანდება, მოგვარე ბენ ვოლესთან ერთად ისინი უძლიერეს დუეტს ჩამოაყალიბებენ ფარქვეშ და გამთამაშებელ ჩონსი ბილაფსსაც თუ დასცალდა ტრავმის მოშუშება...

„მილუოკი" კარგად შეკრული გუნდია, ვისაც ჰყავს წლეულს გაბადრული ერთადერთი ვარსკვლავი მაიკლ რედი და ასევე მოულოდნელად წარჩინებული ახალბედა მწვრთნელი ტერი პორტერი, თუმც ეს გუნდი „დეტროიტისთვის" მაინც დროებითი წინაღობაა.

### მაიამი — ნიუ ორლეანი

პატ რაილის იმპერია ნანგრევებიდან აღსდგა. თავად დიდი პატი „მაიამის" პრეზიდენტის ტახტზე კი დარჩა, მაგრამ ჯარის გაძღოლა სტენ ვან განდის გადააბარა და ამანაც იმედი არ მოუშალა მწვრთნელობაში დაღლილ მთავარსარდალს. სხვა საქმეა, რომ „მაიამი" დასავლეთში პლეი ოფშიც ვერ გავიდოდა ამ შედეგით, თუმც ნბა-შიც ყველაფერი შედარებითია და მისისიპის აქეთა კონფერენციაში „ჰითი" პლეი ოფშიც გავიდა და იქნებ უფრო შორსაც წავიდეს.

„მაიამის" გაუმართლა „კლიპერსიდან" აყვანილმა უზრდელმა ვარსკვლავმა ლამარ ოდომმა, სხვებიც ჯანზე არიან. აი, მუდმივ უიღბლო „კრაზანებს" კი კვლავ არ უმართლებთ. ზღაპრული სეზონი ჰქონდა ბაირონ დევისს, თუმც ტრავმებმა მეორე ლიდერი ჯამალ მაშბურნი იმსხვერპლა.

### მინესოტა — დენვერი

„ექვსი თვე იმისთვის არ გვიწვალია და გვიშრომია, რომ პლეი ოფში ვილაც შემთხვევით მოხვედრილ ლლაპებს ეს გზა წავაშლევინოთ!" — ბობოქრობს მინესოტელი „მგლების" წინამძღოლი კევინ გარნეტი. ერთ-ორ კვირაში გარნეტს ალბათ სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ აღაზევებენ და თუ ყველაფერი მისი სურვილისამებრ მოხდა, „მინესოტამ" მინიმუმ ფინალს უნდა უწიოს.

მაგრამ წინ ჯერ „დენვერია", გუნდი, რომელიც რვა წელია პლეი ოფში არ მოხვედრილა და ახლა ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთის გარეშე თამაშობს. კარმელო ენტონი შარშან ამ დროს სტუდენტურ ოთხთა ფინალს აგებინებდა სირაკუზის უნივერსიტეტს და „მინესოტასთანაც" მოინდომებს ფრთების გაშლას. ვაი, თუ მარკუს კემბიმ მარჯვენივ და მარცხნივ დაფარება იწყოს? ვაი, თუ ვოშონ ლენარდს სამქულიანები წაუვიდეს?

„დენვერს" დასაკარგი არაფერი აქვს. „მინესოტასთვის" კი აქ მარცხი კატასტროფა იქნება. „მგლები" ბოლო შვიდი წელია პირველი წრიდან ვარდებიან.

„დენვერის" ქართველ ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილს კი უნიკალური შანსი აქვს, გახდეს პირველი ქართველი, ვინც ნბა-ს პლეი ოფს გემოს გაუსინჯავს.

### ლეიკერსი — ჰიუსტონი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" სეზონის ბოლოს უკან მოიტოვა პრობლემები, კონკურენტი გუნდები და დასავლეთის მეორე საფეხურზე მოკალათდა. 41 წლის კარლ მელოუნი ჯანზეა, კობი ბრაიანტი დროებით, საპატიო მიზეზის გამო სასამართლოდან დაითხოვეს და შაკილ ონილიც ფერ-ხორცზეა.



დევშაკი იაო მინგთან ბავშვივით ჩანს

პირველ მეტოქედ „ლეიკერსს" შედარებით იოლი „ჰიუსტონი" შეხვდა. თავისთავად ინტრიგაა შაკილ ონილისა და „როკიტსის" ჩინელი ჟირაფის იაო მინგის დუელი, თუმც ამ სეზონში ყველაფერი იქნებ დაბლების კობი ბრაიანტისა და სტივ ფრენსისის დაპირისპირებამ გადაწყვიტოს.

### სან ანტონიო — მემფისი

ერთი შეხედვით, ამ სერიაში გასარკვევი თითქოს ბევრიც არაფერია, ჩემპიონმა „სან ანტონიომ" და ტიმ დანკარმა „მემფისისთანა" გუნდი 4:0 უნდა წალეკონ, მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ „მემფისისთანა" გუნდის წალეკვა ჭირს. ცოტა ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ „გრიზლებმა" რეგულარული ჩემპიონატის ოთხი თამაშიდან სამი მოუგეს ჩემპიონებს და საერთოდაც ზღაპრული სეზონი ჰქონდათ. მათი 70 წლის ბრაზიანი გამწვრთნელი ჰუბი ბრაუნი იქნება კოლეგათა შორის სეზონის რჩეულადაც დასახელონ. „მემფისს" აქამდე ყველაზე უკეთეს შემთხვევაში 28 გამარჯვებით დაესრულებინა სეზონი, ამ სეზონში კი ერთბაშად 22 გამარჯვებით გააუმჯობესა საკლუბო რეკორდი და პლეი ოფში გასულს წაგება ვერ დააპურებს. ბრაუნი თანაბრად ტვირთავს 10 მოთამაშეს და ნებისმიერ მათგანს შეუძლია თამაშში 20 ქულის გაკეთება.

### საკრამენტო — დალასი

აგერ, ყველაზე თანაბარი და ძლიერი წყვილი დასავლეთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში. „საკრამენტოსაც" მოეძევება არაერთი უცხოელი ვარსკვლავი და „დალასსაც". პირველსაც უყვარს შეტევა და მეორესაც. „კინგზსაც" უნდა მოგება და „მავერიკსსაც" და ასე განსაჯეთ, პრობლემებიც კი ერთნაირი აქვთ — „საკრამენტო" მშვენივრად თამაშობდა კრის ვებერის გარეშე და ლიდერი რომ დაუბრუნდა, დასავლეთში პირველიდან მეოთხე საფეხურამდე ჩამოვარდა. ასევე იყო „დალასიც" — ბოსებმა შეკრულ გუნდს სეზონის დასაწყისში 2 ვარსკვლავი ანტუან უოლკერი და ანტაუნ ჯემისონი შეიძინეს, მაგრამ ახლებმა უნებურად აწეწეს გუნდი. სერია საამო საცქერი იქნება, გამარჯვებულს კი, გვაპატიეთ და წინასწარ ვერ გამოვაცხადებთ.



კრის ვებერი სკამზე რომ იჯდა, მის „საკრამენტოს" მაშინ ულხინდა

# მარქს-ენგელს-ნიკოლაძიდან პობედამდე

## ქართველი მთამსვლელები პამირისა და ტიან-შანის მთებში

### ეძღვნება მწვერვალ პობედაზე დაღუპულ ჯუმბერ მეძმარიაშვილის ხსოვნას

დასასრული.
დასაწყისი იხ. №82 და №84

როგორც უკვე ითქვა, ქართველთა ექსპედიცია ევერესტზე არ შედგა. მის სანაცვლოდ, 1959 წლის ზაფხულში, ქართველებმა გეზი ტიან-შანისკენ ავიღეთ.

ამ წლებში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდა საბჭოთა კავშირის სიმაღლით მეორე მწვერვალი „პობედა“ (7439მ).

ამ მწვერვალზე, რომლის სიმაღლეც 1943 წელს დადგინდა (მანამდე ცენტრალური ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალად მიჩნეული იყო „პობედას“ მახლობლად მდებარე, ხანთენგრი, 6995მ), ერთხელ უკვე დალაშქრული იყო (1956წ). მომდევნო მცდელობას კი დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

გარდა იმისა, რომ „პობედა“ შვიდიათასიანთაგან ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალია, თვით ტიან-შანის მთიანი სისტემა, მით უმეტეს მისი ცენტრალური რაიონი (მყინვარ ილინჩეკის აუზი) მძიმე მეტეოროლოგიური პირობებით და უხვი ზვავებითაც გამორჩეულია.

მწვერვალზე ასასვლელი გზა, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის სასიმაღლო ასვლების კლასში იყო წარდგენილი, სირთულის პარამეტრებით მკვეთრად აღემატებოდა საბჭოთა მოსიმაღლე მთამსვლელთა მიერ 1959 წლამდე გავლილ უკლებლივ ყველა მარშრუტს.

ქართველთა ეს გზა „პობედაზე“ დღესაც (45 წლის შემდეგ) მიჩნეულია ერთ-ერთ საინტერესო სასიმაღლო მარშრუტად და უმაღლეს მე-6 კატეგორიის სირთულითაა შეფასებული.

ძირითადი ჯგუფის უმრავლესობა პამირის 1958 წლის მონაწილე იყო: გუნდის კაპიტანი ჯუმბერ მეძმარიაშვილია, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, თეიმურაზ კუხიანიძე, გიორგი აბაშიძე, რევაზ და ოთარ ხაზარაძეები, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, დიმიტრი დანგაძე, ნოდარ ნადირაშვილი, სოლიკო ხაბეიშვილი.

როცა ექსპედიციამ ილინჩეკისა და დიკის მყინვართა შესაყართან დასცა ბანაკი (დიდი ილინჩეკის მარცხენა შენაკადია), ალპინისტური სეზონი ტიან-შანზე უკვე იწურებოდა (14 აგვისტო).

„პობედის“ მასივი, რომელიც კოკშაალის ქედზე მდებარეობს, მთლიანად ილინჩეკის მარცხენა მძლავრი შენაკადის, „ზვეზდოშკას“ აუზშია მოქცეული.

დიკისა და ზვეზდოჩკას მყინვარებს კლდოვანი მასივი მიჯნავს, რომელიც კოკშაალის ქედზე მდებარე, 6919 მეტრი სიმაღლის, უსახელო მწვერვალის ჩრდილოეთ, ყინულსა და თოვლში ჩამჯდარ კლდოვან კონტრფორსს ემიჯნება (კონტრფორსი — დიდი დაქანების თხემი). ამ უსახელო მწვერვალს მაშინ პირობითად დასავლეთ პობედას უწოდებდნენ.

რაც შეეხება კონტრფორსს, რომლითაც 6919 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალზე ვგეგმავდით ასვლას, ტექნიკურად იმდენად რთულია, რომ ამ გზით პობედაზე ასვლა ჩვენამდე არავის მოსვლია აზრად.

მოხდა ისე, რომ ევერესტისა არ იყოს, პობედაზე ასვლაც იმ წელიწადს არ შედგა.

როცა ყველა მოსამზადებელი სამუშაოები მოვათავეთ, მათ შორის, რთული მარშრუტის ნაწილის (6200 მეტრამდე) დამუშავებაც და იერიშზე გასასვლელად ვემზადებოდით, მივიღეთ რადიოგრამა — შეიარაღებული ძალების მთამსვლელთა ნაკრები, რომელიც 1956 წლის მარშრუტით პობედაზე ადიოდა, შველას ითხოვდა.

ქართველთა გარდა მათ მახლობლად არავინ იყო და ჩვენც მთელი ძალებით განსაცდელში ჩავარდნილი ჯგუფის დასახმარებლად გავეშურეთ.

უნდა ითქვას, რომ სამხედროები თავდაპირველად საკუთარი ძალებით ცდილობდნენ თანაგუნდელთა შველას (მით უმეტეს, რომ მათი ექსპედიცია 80-ზე მეტ კაცს ითვლიდა). მათ საკუთარი გასაჭირი მაშინღა შეგვატყობინეს, როცა თავად ვერაფერი გააწყეს და სიტუაციაც უკიდურესად დამძიმებული იყო.

სამაშველო სამუშაოებს მეტად რთული მეტეოპირობებიც დაემთხვა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ განსაცდელში ჩავარდნილ ჯგუფთან, რომელიც 6900 მეტრიან სიმაღლეზე უკვე მეხუთე დღე „იჯდა“ და შველას ელოდებოდა, რადიოკავშირი არ გვქონდა.

ჩვენ რომ არა, ალბათ მთელი ჯგუფი დაიღუპებოდა. საშინელ ქარბუქში, როცა ჩვენ მათ 6400 მეტრის სიმაღლეზე შევხვდით, სულ რაღაც 15-20 წუთმა გადაწყვიტა მათი ბედი. არაქათგამოცლილი მთამსვლელები აზრმიუცემლად უფსკრულისკენ ეშვებოდნენ, საიდანაც თავის დაღწევა გამორიცხული იყო. ჩვენ ისინი სწორ გზაზე დავაყენეთ და სამშვიდობოზე გამოვიყვანეთ.

ამ ეპოპეას უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია. ორი მთამსვლელის ცხედარი დღესაც პობედის კალთებზე განისვენებს, ერთი მთამსვლელი კი ჩამოყვანის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ცხადია, რომ ამ ამბების შემდეგ პობედაზე ასვლა აღარ გვიცდია. ძლიერ ფსიქოლოგიურ სტრესთან ერთად, ალპინისტური სეზონიც დამთავრებული იყო. ამას დაერთო რაიონის დახურვა და ასვლების აკრძალვა მოსკოვიდან.

მკითხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს თუ რა ხიფათთანაა დაკავშირებული სამაშველო სამუშაოები და ისიც ტიან-შანის პირობებში, იმაზეც მოგითხრობთ, თუ რა შედეგებით დამთავრდა პობედაზე 1960 წელს ორგანიზებული ექსპედიცია, რომლის უმთავრესი ამოცანა 1959 წელს დაღუპულ მთამსვლელთა ჩამოსვენება იყო.

ექსპედიციამ, რომელიც საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოსიმაღლე მთამსვლელებით იყო დაკომპლექტებული და რომელსაც კირილე კუზმინი ხელმძღვანელობდა, საწყის ეტაპზევე განიცადა სასტიკი მარცხი — პობედის კალთებიდან წამოსულმა ზვავმა 14 მთამსვლელის სიცოცხლე შეიწირა.

1960 წელს, როგორც ჯუმბერი გეგმავდა, მორიგი ექსპედიცია ტიან-შანზე არ შედგა. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ მაშინ ქუთაისელ ალპინისტთა წამოწყებას დაუჭირა მხარი — პამირის მთიანეთში ზულუმართისა და იმერალაის ქედების მწვერვალების გამჭოლ ტრავერსს.

ეს ტრავერსი ტექნიკური სირთულით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ქართველ მთამსვლელთა პრაქტიკაში პირველად ხდებოდა შვიდიათასიანი მასივის (ლენინის პიკი) ტრავერსირება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯუმბერ მეძმარიაშვილი და მასთან ერთად თბილისელი მთამსვლელები პობედის ვარიანტს უჭერდნენ მხარს, პამირის 1960 წლის ექსპედიციაში ჯუმბერთან ერთად მონაწილეობდნენ თეიმურაზ კუხიანიძე, დიმიტრი დანგაძე და ომარ ბერაძე.

იმ წელიწადს პამირიდან ოქროს მედლები ჩამოიტანეს ლევან ახვლედიანმა (გუნდის კაპიტანი), ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, ზურაბ და ავთანდილ ახვლედიანებმა, ბექნუ ხერგიანმა, თეიმურაზ კუხიანიძემ, ილია გაბლიანმა, ომარ ბერაძემ, ჯოკია და სოზარ გუგავებმა, დიმიტრი დანგაძემ, გიორგი კობიძემ.

1961 წელს ტიან-შანზე გაემგზავრა საქართველოს უძლიერესი მთამსვლელებით დაკომპლექტებული ექსპედიცია, მაგრამ აკლდა ის სულიერი ერთიანობა, რაც ასე ძალუმად 1959 წლის ექსპედიციაში იგრძნობოდა.

მთამსვლელთა ერთი ნაწილი, კავკასიონზე ნაჩვენები მაღალი სპორტული შედეგების მიუხედავად, მზად არ აღმოჩნდა ტიან-შანის მკაცრ პირობებში პობედაზე ასასვლელად.

ამ გარემოებამ, ცხადია, თავდაპირველი გეგმის მნიშვნელოვანი კორექტირება მოითხოვა, რაც ჯგუფების საბოლოო შემადგენლობაშიც აისახა.

ჯგუფების დაკომპლექტების პროცესი დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა და მათი შემადგენლობა მარშრუტზე გასვლამდე არაერთხელ შეიცვალა.

პირველ ჯგუფს (ჯუმბერ მეძმარიაშვილი (კაპიტანი), კირილე კუზმინი, თეიმურაზ კუხიანიძე, ილია გაბლიანი, მიხეილ ხერგიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) პობედის მასივის ტრავერსი უნდა განეხორციელებინათ. მეორე ჯგუფის ამოცანა კი (ოთარ ხაზარაძე (კაპიტანი), ზურაბ ახვლედიანი, რევაზ ხაზარაძე, დიმიტრი დანგაძე, ომარ ბერაძე, ჯუმბერ კახიანი) პობედაზე ასვლა და იმავე გზითვე უკან დაშვება იყო.

პასუხი იმაზე, თუ პირველი ჯგუფი რატომ არ დაკომპლექტდა გამოცდილი მოსიმაღლე მთამსვლელებით, როცა ამის შესაძლებლობა იყო, არცთუ იოლი გასაცემია.

და მოხდა ის, რაც ბედით წინასწარ იყო გაწერილი!

პობედის მწვერვალს მაშინ ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, კირილე კუზმინმა, ილია გაბლიანმა და თეიმურაზ კუხიანიძემ მიაღწია (უმცროსი ხერგიანი შეუძლოდ შეიქნა და უფროსი, მიხეილ ხერგიანიც მასთან დარჩა მწვერვალისწინა თხემზე), საბაზო ბანაკში კი ამ ოთხი გამარჯვებულიდან მხოლოდ კირილე კუზმინი დაბრუნდა.

ილია გაბლიანი, ასვლის მეორე დღეს 7000 მეტრის სიმაღლეზე მოულოდნელად გარდაიცვალა.

თეიმურაზ კუხიანიძე ვაჟა-ფშაველას მწვერვალიდან (6919 მ) დაშვებისას მოწყდა და უფსკრულმა შთანთქა.



ჯუმბერი კი ძმობას და კაცურკაცობას შეეწირა...

ჯუმბერს, რომლის თვალწინაც ეს საზარელი ტრაგედია დატრიალდა, არ სურდა იმის დაჯერება, რომ თემური დაიღუპა. ასოიდე მეტრის ქვემოთ კლდეები იწყებოდა და რაღაც ნაპერწკალი იმისა, რომ თოკი შესაძლო კლდის შვერილებს წამოედოს და თემური გადარჩეს, ვინძლო კიდევ ღვიოდა.

ჯუმბერი შეეცადა კლდეებთან მისვლას, ამისთვის კი აუცილებელი იყო ყინულის დამრეცი ფერდის ტრავერსი, რაც დაცვის გარეშე და მით უმეტეს მოცვეთილი წრიაპებით, სიკვდილზე წასვლა იყო.

კირილე ბევრს ეცადა, დაერწმუნებინა ჯუმბერი, რომ ხელი აეღო ამ საბედისწერო განზრახვაზე, მაგრამ უშედეგოდ. ჯუმბერმა ცხადია იცოდა რისკის ფასი, მაგრამ სხვანაირად მოქცევა მას არ შეეძლო.

მოწყდა კიდეც. ერთხანს ვარდნის შეჩერებაც შეძლო, მაგრამ როცა ძალა გამოეცალა, წერაყინი, რომლითაც იკავებდა თავს, ხელიდან გაუსხლტა და პობედის ძირში დაღუპული მეგობრის გვერდი-გვერდ აღმოჩნდა უსულოდ.

უსახელო მწვერვალი კი, რომელიც „დიკის“ მყინვარს არწივივით დაჰყურებს ზემოდან (6919 მ), ჯუმბერის, თემურის და ილიას წყალობით მთის დიდი მგოსნის ვაჟას სახელს ატარებს.

ამ ტრაგედიის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატისთვის ცხადია აღარავის ეცალა, მაგრამ ჩვენი ბიჭების მიერ 1961 წელს პობედაზე ასვლით ახალი ეტაპი დაიწყო სასიმაღლო ალპინიზმში (ამ მარშრუტს დღესაც არ დაუკარგავს მომხიბლაობა და სპორტული ინტერესი).

ჯუმბერ მეძმარიაშვილის წვლილი ქართულ სასიმაღლო ალპინიზმში ამით არ ამოიწურება (სამი ოქრო და ერთი ვერცხლი). ჯუმბერის, კუხოს და ილიას თოკის მეგობრებმა კიდევ მრავალი სარეკორდო მარშრუტი გაკვალეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროც და ვერცხლიც არაერთხელ დაიმსახურეს. ყველგან, სადაც კი ყინულის ციცაბო ფერდობები იყო გადასალახი თუ თავბრუდამხვევი კლდის ქარაფები დასაძლევი, ჩვენი ჯუმბერი, ჩვენი კუხო და ჩვენი ილია ქვეცნობიერად ჩვენთან ერთად იყვნენ უწინდებურად ერთ თოკში ჩაბმულნი.

ჯუმბერი კი, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი თაობის უძლიერესი მთამსვლელია, რომლის ღვაწლიც ჯერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებული არ არის.

**შოთა მირიანაშვილი**
**საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი**



ქართველი მთამსვლელები პამირში 1959 წელს



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი გაბაშვილმა და საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ბათუმში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს ვეტო დაადეს

# ასლან აბაშიძეს მსოფლიოს ართმევენ

## სადაც ავტომატებია, იქ დაფები ვერ გაიშლება

*გუშინწინ აჭარის მეთაურმა ასლან აბაშიძემ დიდი პომპეზურობით ამცნო სპორტულ სამყაროს, რომ მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის მაისში ბათუმში გაიმართება. აჭარის მთავარქალაქში იმყოფებოდა ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, რომელმაც აბაშიძესთან და ქართული ჭადრაკის გამგებელ ზურაბ აზმაიფარაშვილთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა ამ მნიშვნელოვანი ტურნირის ბათუმში ჩატარება. თუმც ირკვევა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამართვას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ეწინააღმდეგება*

*სპორტისა და კულტურის მინისტრ გოკა გაბაშვილის განცხადებით, ბათუმში არსებულ „სომარ" პირობებში ტურნირის უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიები არ არსებობს. ეს ის შემთხვევაა, სპორტი პოლიტიკაში რომ გადადის. საქმის არსში უკეთ გასარკვევად თავად მინისტ გოკა გაბაშვილს დავუკავშირდით...*

— ბათუმში ასეთი მაღალი დონის ტურნირის ჩატარება დღეს შეუძლებელია. აჭარაში სრულად უკონტროლო სამხედრო ფორმირებები დათარეშობენ, მოსახლეობაში ათასობით ავტომატია, ბათუმში მძიმე ტექნიკა დგას და ასეთ ვითარებაში უნდა ასლან აბაშიძეს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა? აჭარაში უსაფრთხოების გარანტები არ არსებობს. მოწვეულ სტუმრებსა და სპორტსმენებს დაცვა სჭირდებათ, აბაშიძე კი სიტუაციას ბოლომდე ვერ აკონტროლებს.

— ბათუმში ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი იმყოფებოდა, ვისაც აბაშიძემ უსაფრთხოების სრული გარანტი მისცა...

— მისცემდა, აბა, რას იზამდა, მაგრამ ეს დაპირება რომ აბსურდულია, აჭარაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარებიდანაც კარგად ჩანს. ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით აჭარაში ტერორი მძვინვარებს, დემოკრატია იქ აღარ არსებობს და ასეთ ვითარებაში უსაფრთხოებაზე ლაპარაკი სასაცილოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აჭარაში თბილისელ ჟურნალისტებს ერჩიან, მათ საქმიანობა კი არა, ელემენტარული გადაადგილება უჭირთ. აბაშიძეს ჩაკეტილი აქვს ჩოლოქი, ვისაც უნდა, იმას უშვებს აჭარაში.

— კონკრეტულად რა ღონისძიებებს უნდა მიმართოთ?

— ახლა ტექსტს ვამზადებთ კირსან ილუმჟინოვის სახელზე, რომელსაც საქმის რეალურ არსს გავაცნობთ და ალბათ ფიდეს პრეზიდენტი გაიზიარებს ჩვენს პოზიციას. ასევე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასაც მივმართავთ, რომელიც, იმედი გვაქს, არ გადაუხვევს სახელმწიფოს არჩეული კურსიდან და მსოფლიოს ჩემპიონატის ბათუმში მასპინძლობაზე უარს იტყვის.

**— სად გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი? ტურნირი ხომ თბილისში უნდა ჩატარებულიყო, თუმც უსახსრობის გამო ეს ვერ მოხერხდა. ახლა ბათუმშიც კრძალავთ ამ ტურნირის გამართვას...**

— თბილისში ჩემპიონატის მასპინძლობა ვერ მოვახერხეთ. ასე მოკლე დროში საჭირო ფინანსებს თავი ვერ მოვუყარეთ და ჭადრაკის ფედერაციას ვუთხარით, თუ სპონსორს იპოვით, ჩვენ მხოლოდ მხარს დაგიჭერთო. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ამას წინათ საქმის კურსში ჩაგვაყენა, აჭარის ხელმძღვანელობასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ტურნირის ბათუმში გამართვასთან დაკავშირებითო. ეს ის პერიოდი იყო, დაძაბულობის შემდეგ ურთიერთობები რომ დათბა, ჩვენც მხარი დავუჭირეთ ფედერაციას. ახლა კი ვითარება კვლავ დაიძაბა, ასლან აბაშიძემ უარი განაცხადა ათასობით უკანონოდ შეიარაღებული ადამიანის განიარაღებაზე. აჭარაში დღეს მშვიდობა არ სუფევს და მსოფლიოს ჩემპიონატიც ბათუმში არ გაიმართება. ტურნირი ალბათ გადაიდება და თუ მოხერხდება, მას მოგვიანებით ვუმასპინძლებთ.

**ირაკლი პერტაია**



# სერენამ ფეხი აწნია

### ესტორილის ღია პირველობა
თიხნარი
საპრიზო 520 ათასი $

### მეორე წრე

**ტომი რობრედო (4, ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:1, 7:6 (8:6); ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — მაქს მირნი (6, ბელარუსი) 6:3, 6:3; მარატ საფინი (8, რუსეთი) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 6:4, 6:4; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:2**

ირაკლი ლაბაძის მიერ „მხეცად" წოდებული ზორბა ბელარუსის მაქს მირნის ძლევის შესახებ გუშინვე გაუწყეთ. რაკიღა იქვე არ მოგვიხერხდა, ქართველის ამ მორიგი შთამბეჭდავი წარმატების თანამდევ ორიოდ ფაქტს ამ ჯერზე გააზლებთ.

სახელდობრ კი, აი, რისი დამატება გვსურს. წლევანდელი რიგიანი ჩოგნაობის კვალობაზე ჩვენმა პირველმეჩოგნემ რამდენიმე მეტოქესთან უკვე ანგარიშის გასწორებაც შეძლო. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად, ესტორილში ძლეულნი — ატილა სავოლტი და იგივე მირნიც იკმარებდნენ, რომელთანაც ლაბაძეს ამ ტურნირამდე 0:1-იანი პირადი ბალანსები ჰქონდა. სავოლტზე ადრეც გვითქვამს, ბელარუსთა ჯილასთან კი ქართველს 2002 წელს, მაიამობის პირველ წრეში წაეგო.

ისე, აქამდე ასევე ერთხელ ეთამაშა მას 17 წლის ესპანელ რაფაელ ნადალთანაც, ვინაც მას შარშან ჰამბურგული ხალიჩობის მეორე წრეში აჯობა და ვისთანაც გუშინ საღამოს ესტორილური ნახევარფინალის საგზურისთვის დავობდა.

სხვაფრივ — დღის ყველაზე საინტერესო მატჩად სწორედ ნადალისა და მასზე თხუთმეტი წლით უმცროსი ფრანგის რიშარ გასკეს განდაგანა მიიჩნეოდა. ეს მათი პირველი დაპირისპირება იყო და, მართალია, ესპანელ ყმაწვილს მეორე სეტში მტკივანი კოჭის გადახვევა დასჭირდა, გამარჯვება საბოლოოდ მაინც მას დარჩა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგანაც გასკესთან შედარებით ნადალი უფრო მძლავრია, უფრო აგრესიულია, უფრო სწრაფად ვითარდება და მთავარ რეიტინსგიაშიც მასზე 60 ადგილით მაღლა, უკვე 34-ე საფეხურზე დგას.

ბოლოს კი იმასაც გეტყვით, რომ ფრანგ მეჩოგნეებთან ნათამაშებ ბოლო მეჩვიდმეტე მატჩში უკვე მეთხუთმეტე გამარჯვება მიითვალა რუსმა მარატ საფინმა. შეგახსენებთ, ლაბაძე და საფინი ესტორილურ ტიტულს „წყვილადაც" ეძებდნენ, მაგრამ მათ ჯუფთს პირველ წრეში ჩერმაკისა და ფრიდლის პირველ ნომრად განთესილი წყვილი გასცდა 7:6 (7:2), 7:5.

### II OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA
ვალენსია. თიხნარი
საპრიზო 395 ათასი $

### მეორე წრე

**ხუან კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (3, ხორვატია) 6:4, 6:4; დავიდ ფერერი (7, ესპანეთი) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:2, 6:4; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — რუბენ რამირეს იდალგო (8, ესპანეთი) 7:5, 6:2**

### აშშ-ის კაცთა თიხნარპირველობა
ჰიუსტონი.
საპრიზო 380 ათასი $

### მეორე წრე

**ჯეიმს ბლეიკი (4, აშშ) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 7:5, 6:3; ანდრეი პაველი (5, რუმინეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 4:6, 6:3, 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:4, 6:2; დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 3:6, 6:2**

### THE FAMILY CIRCLE CUP
ჩარლსტონი. თიხნარი
საპრიზო 1,3 მილიონი $

### მესამე წრე

**კონჩიტა მარტინესი (16, ესპანეთი) — სერენა უილიამსი (2, აშშ)** *სერენას ტრავმის გამო არ უთამაშია;* **ვინუს უილიამსი (4, აშშ) — მარა-გაჯანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 6:1; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:1; პატი შნიდერი (11, შვეიცარია) — ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) 6:3, 6:1; პეტრა მანდულა (უნგრეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (7, აშშ) 7:6 (7:3), 3:6, 7:5; ნადია პეტროვა (8, რუსეთი) — ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:1, 6:1; ვერა ზვონარიოვა (9, რუსეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (13, ისრაელი) 6:0, 3:6, 6:3; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:3, 6:1**

ჩარლსტონობა სამი მთავარგანთესილი მეჩოგნის გარეშე დარჩა — ტურნირს ტრავმების გამო გამოკლებულ ჟუსტინ ენენ-არდენსა (1) და ამელი მორესმოს (3) გუშინ სერენა უილიამსიც (2) თან მიჰყვა. უმცროსი შავდა მარცხენა, ნაოპერაციევმა მუხლმა შეაწუხა. ექიმებმა მითხრეს, ასეთი დატვირთვები ჯერ ძალიან ადრეა და გიჯობს, ცოტა კიდევ მოისვენოო, თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ მუხლი სერენამ შარშან აგვისტოში გააკეთინა, დიდ კორტს კი 26 მარტს მაიამობაზე მოუბრუნდა. იქ მოგების შემდეგ ის მსწრაფლ გადაფრინდა ფლორიდაში, სადაც ამელია აილენდობაზე ეგებ კვლავ ეპირველა, მუხლს უკვე მეოთხედფინალში, რუს ნადია პეტროვას წინააღმდეგ რომ არ დაემუხრუჭებინა. სერენამ ამ სიგნალს ყური არ ათხოვა და ნაამელიააილენდევს უმალ ჩარლსტონს მიაშურა. აქ კი მუხლის იგნორირება უკვე ველარ შეძლო — თუკი კუთვნილ კენწეროში დროულად დაბრუნება სურს, ფეხები ოდნავ მაღლა უნდა ასწიოს. დასასვენებლად, ცხადია!

წლეულს უკვე სამი ტურნირიდან ზურგის ტრავმის გამო თვითაბარგებული ჯენიფერ კაპრიატი კი ამჯერად უკვე საკუთრივ კორტიდან აბარგეს — მსოფლიოში რანგით 42-ე პეტრა მანდულამ იგი ფიცხელი ჭახა-ჭუხის შედეგად მოთელა.

**ლევან ძელაურაძე**





# პლეი ოფი. პირველი წრე



— 15 აპრილი —

### დასავლეთი

#### ვანკუვერი 2:3 კალგარი

**ვანკუვერი 1:2 კალგარი**
*0:0 1:1 0:1*
**0:1 კონროი (24), 1:1 ჰსედინი (37), 1:2 იგინლა (46)**

„კალგარი" ბოლო ცხრა წლის განმავლობაში პირველად მოხვდა პლეი ოფში და ხედავთ, რა ფხა გამოიჩინა! გაიმარჯვა და დაწინაურდა კიდეც და ეს ყველაფერი მეკარე მიიკა კიპრუსოფის საუცხოო თამაშმა განაპირობა. 32 დარტყმა მოიგერია ფინელმა და მხოლოდ 1 გაუშვა.

#### დეტროიტი 3:2 ნეშვილი

**დეტროიტი 4:1 ნეშვილი**
*3:0 1:1 0:0*
**1:0 ზეტერბერგი (4), 2:0 ჰალი (7), 3:0 შენაჰანი (14), 4:0 ლიდსტრიომი (30), 4:1 ჟოლტოკი (60)**

„დეტროიტის" მარჯვე თამაშსაც შევესწარით. „ფრთები" პირველი წუთებიდანვე შეუდგნენ საქმეს და მათ გამარჯვებას უსამართლობის შეგრძნება არ დაუტოვებია.

#### სან ხოსე 4:1 სენტ ლუისი

**სან ხოსე 3:1 სენტ ლუისი**
*1:1 1:0 1:0*
**1:0 სტიუარტი (2), 1:1 სავაჟი (14), 2:1 სმიტი (30), 3:1 რიჩი (57)**

25-ე სეზონია, „სენტ ლუისს" პლეი ოფი არ გაუცდენია. ასეთი შედეგით ამერიკის პროფესიული ლიგების ერთი გუნდიც ვერ დაიკვეხნის. მაგრამ რა თავში იხლიან ასეთ სტაბილურობას, როცა „ბლუზმენებმა" სერიოზულ შედეგს ერთხელაც ვერ მიაღწიეს. მეტიც, მეტწილად თასის პირველივე რაუნდიდან ვარდებიან. ვერც წლეულს დაარღვიეს ეს არასასიამოვნო ტრადიცია. უკვე წინა მატჩშივე გახდა ნათელი, რომ ეს გუნდი „სან ხოსეს" ვერ გაივლიდა.

### აღმოსავლეთი

#### ბოსტონი 3:2 მონრეალი

**ბოსტონი 1:5 მონრეალი**
*0:1 0:1 1:3*
**0:1 პერო (6), 0:2 კოვალიოვი (28), 0:3 ზედნიკი (44), 1:3 მიურეი (49), 1:4 კოივუ (52), 1:5 რივე (54)**

„ბოსტონმა" ვერ გამოიყენა შანსი, ვერ დაასრულა სერია თავის მოედანზე.

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39.48.29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge